

შპს „საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ“

ფინანსური და მმართველობის ანგარიშგებები
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად
2021 წლის 31 აგვისტოს დასრულებული წლისთვის

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

ფინანსური ანგარიშგება

მოგებისა და ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება.....	1
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	2
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება	3
ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება	4

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

1. კორპორატიული ინფორმაცია	5
2. მომზადების საფუძველი	5
3. წინა პერიოდის კორექტირებები/შეცდომები	6
4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა	9
5. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები	14
6. შემოსავალი სასწავლო პროგრამებიდან	15
7. სხვა შემოსავალი	15
8. შრომის ანაზღაურების ხარჯი	16
9. სტიპენდიის ხარჯი.....	16
10. სხვა საოპერაციო ხარჯი.....	16
11. ფინანსური შემოსავალი	17
12. მოგება/ზარალი კურსთაშორისი სხვაობიდან	17
13. ძირითადი საშუალებები	18
14. ინვესტიციები მეკავშირე საწარმოში	19
15. გაცემული სესხები	19
16. გრძელვადიანი აქტივებისთვის გადახდილი ავანსები.....	20
17. სასაქონლო მატერიალური მარაგები	20
18. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები.....	20
19. ფული და ფულის ექვივალენტები.....	21
20. კაპიტალი	21
21. მოკლევადიანი სესხები	21
22. საგადასახადო ვალდებულებები	22
23. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	22
24. პირობითი ვალდებულებები	22
25. ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან	23
26. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები.....	23

მმართველობითი ანგარიშგება

1. ინფორმაცია კომპანიის შესახებ.....	25
2. ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები.....	27
3. სუბიექტის განვითარების გეგმები	28
4. კვლევებისა და განვითარების სფეროში ჩატარებული ღონისძიებების მიმოხილვა	29
5. ინფორმაცია საკუთარი აქციების შეძენის შესახებ	29
6. წლიურ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხების შესახებ დამატებითი განმარტებები	29
7. ძირითადი რისკები და გაურკვევლობები	29

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

“შპს საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ“-ს მენეჯმენტსა და დამფუძნებელს

პირობითი მოსაზრება

ჩავატარეთ “შპს საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ“-ს შემდგომში „კომპანია“ ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2021 წლის 31 აგვისტოს მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სრული შემოსავლის ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებისაგან, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისგან, მათ შორის, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, ჩვენი დასკვნის - „პირობითი მოსაზრების საფუძველი“ - ნაწილში აღწერილი საკითხის გავლენით განპირობებული შესაძლო შედეგის გარდა, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2021 წლის 31 აგვისტოს მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს) შესაბამისად.

პირობითი მოსაზრების საფუძველი

კომპანიას შენობების ჯგუფში აღრიცხული აქვს საკუთარი ძალებით აშენებული შენობა. სააღრიცხვო ჩანაწერების მასშტაბის და სპეციფიკურობის გათვალისწინებით, ჩვენ ვერ შევძელით მოგვეპოვებინა საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულება ამ შენობის ისტორიული ღირებულების სისწორის და სისრულის შესახებ, აღნიშნული ძირითადი საშუალების ისტორიული ღირებულება ბუღალტრული ჩანაწერების მიხედვით შეადგენს 12,542 ათას ლარს. შესაბამისად, ჩვენ ვერ განვსაზღვრეთ, საჭირო იყო თუ არა კორექტირების შეტანა ფინანსურ ანგარიშგებაში აღრიცხულ ძირითად საშუალებებთან მიმართებაში.

კომპანიას 2021 წლის 31 აგვისტოს მდგომარეობით წარდგენილი აქვს მიმდინარე მშენებლობა 19,967 ათასი ლარის ოდენობით (31 აგვისტო 2020: 18,977 ათასი ლარი, 1 სექტემბერი, 2019: 16,792 ათასი ლარი). მიმდინარე მშენებლობის გარკვეული ნაწილი საანგარიშგებო თარიღისთვის უკვე იყო იმ მდგომარეობასა და კონდიციაში, რაც განზრახული ჰქონდა მენეჯმენტს ექსპლუატაციის დასაწყებად. მშენებლობის ფარგლებში შესრულებულ სამუშაოებზე მომზადებული აქტებიდან, შესაძლებელია რომ გახდეს ექსპლუატაციაში შესული ნაწილი ღირებულების გამოყოფა, მოითხოვს გარკვეული სამუშაოების წარმოებას, რაც არ იყო დასრულებული ფინანსური ანგარიშგების გამოცემისას. შესაბამისად, ჩვენ ვერ განვსაზღვრეთ რამდენი უნდა ყოფილიყო დარიცხული ცვეთა და ცვეთის ხარჯი ამ აქტივზე.

კომპანიას გარდა მსხვილი სამშენებლო მასალებისა, არ ჩაუტარებია სასაქონლო-მატერიალური მარაგების ინვენტარიზაცია 2021 და 2020 წლის 31 აგვისტოს და 2019 წლის 1 სექტემბრის მდგომარეობით. კომპანიის სააღრიცხვო ჩანაწერებისა და აქტივების სპეციფიკიდან გამომდინარე, ჩვენ ალტერნატიული პროცედურებითაც ვერ შევძელით დავრწმუნებულებიყავით სასაქონლო-მატერიალური მარაგების არსებობაში და ფიზიკურ კონდიციაში, რაც ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში შეადგენს შესაბამისად 538, 427 და 696 ათას ლარს. ჩვენ ვერ განვსაზღვრეთ საჭირო იყო თუ არა რაიმე კორექტირების შეტანა ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილ შესაბამის თანხებთან მიმართებაში.

კომპანიამ 2021 წელს ჩაატარა ძირითადი საშუალებების ინვენტარიზაცია. კომპანიის სააღრიცხვო ჩანაწერებისა და აქტივების სპეციფიკიდან გამომდინარე, საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის ვერ მოხერხდა ინვენტარიზაციის შედეგების სრულად დადარება და შედეგების ასახვა. შესაბამისად, მიწის, შენობებისა და დაუმთავრებელი მშენებლობის ჯგუფების გარდა, სხვა ძირითად საშუალებებზე ჩვენ ვერ დავრწმუნდით წარდგენილი თანხების სისწორეში. ასეთი ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულება 2021 და 2020 წლის 31 აგვისტოს და 2019 წლის 1 სექტემბრის მდგომარეობით შეადგენს შესაბამისად 5,533, 4,582 და 4,719 ათას ლარს.

კომპანიამ ფინანსური ანგარიშგების გამოცემამდე პერიოდში დაასრულა სწავლებიდან მიღებული შემოსავლებისა და მოთხოვნა/ვალდებულებების ადმინისტრირებისა და აღრიცხვისთვის ინფორმაციის მნიშვნელოვანი ნაწილის შესაბამის პროგრამულ უზრუნველყოფაში ასახვა. 2020 წლის 1 სექტემბრიდან 2021 წლის 31 აგვისტომდე პერიოდში სწავლებასთან დაკავშირებული პერიოდის ბოლო ნაშთის ან წლის შედეგის კორექტირების აუცილებლობის შემთხვევაში, უზუსტობის კორექტირება ხდებოდა 2020 წლის 1 სექტემბრის მდგომარეობით და არა რეტროსპექტიულად. შესაბამისად ჩვენ ვერ განვსაზღვრეთ იყო თუ არა რაიმე კორექტირების შეტანა საჭირო 2019 წლის 1 სექტემბრისა და 2020 წლის 31 აგვისტოს მდგომარეობით აღრიცხულ სავაჭრო მოთხოვნებთან მიმართებით. ჩვენ ასევე ვერ დავრწმუნდით რომ წლის განმავლობაში აღიარებული შემოსავლიდან, ნაწილი 530 ათასი ლარის ოდენობით, სწორ პერიოდში და სწორი თანხით არის აღიარებული.

აუდიტს წარვმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს-ების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის - “აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე” - ნაწილში. ჩვენ ვართ კომპანიისგან დამოუკიდებლები, როგორც ამას ითვალისწინებს ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ შემუშავებული კოდექსი პროფესიონალი ბუღალტრებისათვის (IESBA-ის კოდექსი). შევასრულეთ IESBA-ს კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც.

გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი პირობითი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

სხვა ინფორმაცია

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია სხვა ინფორმაციის მომზადებაზე. სხვა ინფორმაცია (წარმოდგენილი 25-30 გვერდებზე) მოიცავს მმართველობის ანგარიშგებას, მაგრამ არ მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებას და ჩვენ მიერ მასზე გაცემულ აუდიტორის დასკვნას.

ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავეცნოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და განვიხილოთ, სხვა ინფორმაცია არის თუ არა არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია. თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციაში, გვევალება ამ ფაქტის ინფორმირება.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირების პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე, მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

კომპანიის ხელმძღვანელობა ვალდებულია ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას შეაფასოს, შეუძლია თუ არა კომპანიას განაგრძოს საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ და საჭიროების შემთხვევაში, პასუხისმგებელია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და აღრიცხვის საფუძვლად ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების გამოყენებასთან დაკავშირებული საკითხების გამჟღავნებაზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან ოპერაციების შეწყვეტა, ან მას არა აქვს აღნიშნულის განხორციელების გარდა სხვა რეალური ალტერნატივა.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, ფინანსური ანგარიშგება მთლიანობაში შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით, ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენენ იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას დაეყრდნობიან.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვახდენთ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობის ან შეცდომის შედეგად არსებითი უზუსტობების დაშვების რისკების იდენტიფიცირებას და მათ შეფასებას, ამ რისკების შესაბამისი აუდიტორული პროცედურების დაგეგმვას და განხორციელებას და ისეთი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვებას, რომლებიც საკმარისი და შესაბამისია ჩვენი დასკვნის საფუძვლის შესაქმნელად. თაღლითობის შედეგად წარმოშობილი არსებითი უზუსტობების ვერ გამოვლენის რისკი უფრო მაღალია, ვიდრე შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობის, რადგან თაღლითობა შესაძლოა მოიცავდეს უკანონო ფარულ გარიგებებს, გაყალბებებს, ინფორმაციის განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას;
- ვსწავლობთ აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის მექანიზმებს, რათა დავგეგმოთ გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტურობაზე;
- ვაფასებთ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკების შესაბამისობას და ხელმძღვანელობის მიერ მომზადებული სააღრიცხვო შეფასებების და განმარტებითი შენიშვნების გონივრულობას;
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო;
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურას და შინაარსს, მათ შორის განმარტებით შენიშვნებს და ასევე იმას, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას;

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე

ჩვენი ვალდებულებაა ჩატარებული პროცედურების საფუძველზე გამოვთქვათ მოსაზრება მმართველობის ანგარიშგების „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ნაწილების ამ კანონთან შესაბამისობაზე და არსებითი უზუსტობების შემთხვევაში მივუთითოთ მათ არსზე, ასევე, განვაცხადოთ მმართველობის ანგარიშგებაში კანონით განსაზღვრული რაიმე ინფორმაციის წარმოუდგენლობის შემთხვევაში.

მოსაზრება მმართველობის ანგარიშგებაზე

ჩვენი აზრით, მმართველობის ანგარიშგების კანონით განსაზღვრული ნაწილები შეესაბამება კანონის მოთხოვნებს.

შპს „ეკოვის ეი-თი-ეი ფინანსები“-ს სახელით (რეგ #SARAS-F-344896)

ივანე კუტიბაშვილი (რეგ #SARAS-A-629166)

15 აგვისტო, 2022

თბილისი, საქართველო.

დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე

ჩვენი ვალდებულებაა ჩატარებული პროცედურების საფუძველზე გამოვთქვათ მოსაზრება მმართველობის ანგარიშების „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ნაწილების ამ კანონთან შესაბამისობაზე და არსებითი უზუსტობების შემთხვევაში მიუუთითოთ მათ არსზე, ასევე, განვაცხადოთ მმართველობის ანგარიშებაში კანონით განსაზღვრული რაიმე ინფორმაციის წარმოუდგენლობის შემთხვევაში.

მოსაზრება მმართველობის ანგარიშებაზე

ჩვენი აზრით, მმართველობის ანგარიშების კანონით განსაზღვრული ნაწილები შეესაბამება კანონის მოთხოვნებს.

შპს „ეკოვის ეი-თი-ეი ფინანსები“-ს სახელით (რეგ #SARAS-F-344896)



ივანე კუტიბაშვილი (რეგ #SARAS-A-629166)

15 აგვისტო, 2022

თბილისი, საქართველო.

შპს „საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ“

მოგებისა და ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

2021 წლის 31 აგვისტოს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

	შენიშვნა	1 სექტემბერი 2020- 31 აგვისტო 2021	1 სექტემბერი 2019- 31 აგვისტო 2020 (გადაანგარიშებული)
შემოსავალი სასწავლო პროგრამებიდან	6	20,885	17,165
სხვა შემოსავალი	7	211	174
სულ შემოსავალი		21,096	17,339
შრომის ანაზღაურების ხარჯი	8	(6,250)	(5,504)
ცვეთა და ამორტიზაცია		(2,016)	(1,717)
კომუნალური ხარჯი		(485)	(343)
სტიპენდიის ხარჯი	9	(439)	(344)
აკრედიტაციასთან დაკავშირებული ხარჯი		(395)	(674)
საგადასახადო ხარჯი		(382)	(447)
მიწოდებისა და რეკლამის ხარჯი		(321)	(166)
აქტივების გაუფასურების ხარჯი	16	(178)	(101)
სხვა საოპერაციო ხარჯი	10	(1,435)	(1,347)
საოპერაციო მოგება		9,195	6,696
ფინანსური შემოსავალი	11	1,105	1,109
ფინანსური ხარჯი	21	(743)	(999)
მოგება/ზარალი კურსთაშორისი სხვაობიდან	12	(293)	150
მოგება დაბეგვრამდე		9,264	6,956
მოგების გადასახადის ხარჯი		(66)	(111)
წლის სრული შემოსავალი		9,198	6,845

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2022 წლის 15 აგვისტოს

გია კავთელიშვილი
რექტორი

ლევან კალანდარიშვილი
ფინანსური დეპარტამენტის
უფროსი

შპს „საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ“

მოგებისა და ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება
2021 წლის 31 აგვისტოს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული


	შენიშვნა	1 სექტემბერი 2020- 31 აგვისტო 2021	1 სექტემბერი 2019- 31 აგვისტო 2020 (გადაანგარიშებული)
შემოსავალი სასწავლო პროგრამებიდან	6	20,885	17,165
სხვა შემოსავალი	7	211	174
სულ შემოსავალი		21,096	17,339
შრომის ანაზღაურების ხარჯი	8	(6,250)	(5,504)
ცვეთა და ამორტიზაცია		(2,016)	(1,717)
კომუნალური ხარჯი		(485)	(343)
სტიპენდიის ხარჯი	9	(439)	(344)
აკრედიტაციასთან დაკავშირებული ხარჯი		(395)	(674)
საგადასახადო ხარჯი		(382)	(447)
მიწოდებისა და რეკლამის ხარჯი		(321)	(166)
აქტივების გაუფასურების ხარჯი	16	(178)	(101)
სხვა საოპერაციო ხარჯი	10	(1,435)	(1,347)
საოპერაციო მოგება		9,195	6,696
ფინანსური შემოსავალი	11	1,105	1,109
ფინანსური ხარჯი	21	(743)	(999)
მოგება/ზარალი კურსთაშორისი სხვაობიდან	12	(293)	150
მოგება დაბეგვრამდე		9,264	6,956
მოგების გადასახადის ხარჯი		(66)	(111)
წლის სრული შემოსავალი		9,198	6,845

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2022 წლის 15 აგვისტოს

გია კავთელიშვილი
რექტორი



ლევან კალანდარიშვილი
ფინანსური დეპარტამენტის
უფროსი



შპს „საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ“

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2021 წლის 31 აგვისტოს მდგომარეობით

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

		31 აგვისტო 2021	31 აგვისტო 2020 (გადაანგარიშებული)	1 სექტემბერი 2019 (გადაანგარიშებული)
	შენიშვნა			
აქტივები				
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	13	40,139	38,671	34,410
არამატერიალური აქტივები		25	34	33
ინვესტიციები მეკავშირე საწარმოში	14	168	-	-
გაცემული სესხები	15	6,215	5,395	5,134
გრძელვადიანი აქტივებისთვის გადახდილი ავანსი	16	977	1,191	1,512
სულ გრძელვადიანი აქტივები		47,524	45,291	41,089
მიმდინარე აქტივები				
სასაქონლო მატერიალური მარაგები	17	1,281	1,103	1,019
გაცემული სესხები	15	6,927	2,426	2,866
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	18	763	280	87
ფული და ფულის ექვივალენტები	19	6,190	5,175	4,982
სულ მიმდინარე აქტივები		15,161	8,984	8,954
სულ აქტივები		62,685	54,275	50,043
კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი	20	2	2	2
გაუნაწილებელი მოგება	20	51,517	43,666	38,690
სულ კაპიტალი		51,519	43,668	38,692
გრძელვადიანი ვალდებულებები				
ანარიცხი პირობითი ვალდებულებებისათვის		171	171	171
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		171	171	171
მიმდინარე ვალდებულებები				
საგადასახადო ვალდებულებები	22	2,734	1,789	1,259
მოკლევადიანი სესხები	21	7,834	8,289	9,614
სავაჭრო ვალდებულებები	23	427	358	307
სულ მიმდინარე ვალდებულებები		10,995	10,436	11,180
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		62,685	54,275	50,043

შპს „საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ“

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

2021 წლის 31 აგვისტოს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

	შენიშვნა	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ კაპიტალი
1 სექტემბერი 2019 (გადაანგარიშებული)		2	38,690	38,692
მიმდინარე წლის მოგება			6,845	6,845
დივიდენდის გამოცხადება	16		(1,869)	(1,869)
31 აგვისტო 2020 (გადაანგარიშებული)		2	43,666	43,668
მიმდინარე წლის მოგება			9,198	9,198
დივიდენდის გამოცხადება	16		(1,347)	(1,347)
31 აგვისტო 2021		2	51,517	51,519

შპს „საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ“

ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება

2021 წლის 31 აგვისტოს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

	შენიშვნა	2021	2020 (გადაანგარიშებული)
საოპერაციო საქმიანობა			
წლის მოგება		9,264	6,956
არაფულადი კორექტირებები:			
ცვეთა და ამორტიზაცია	11	2,016	1,717
ფინანსური შემოსავალი	9	(1,105)	(1,109)
ფინანსური ხარჯი	17	743	999
აქტივების გაუფასურების ხარჯი		178	101
მოგება/ზარალი კურსთაშორისი სხვაობიდან	10	293	(150)
		11,389	8,514
სამუშაო კაპიტალის კორექტირება:			
ცვლილებები საქონელში		(356)	(84)
ცვლილებები სავაჭრო და სხვა დებიტორულ დავალიანებებში		(377)	(324)
ცვლილებები წინასწარ გადახდილ ავანსებში			
ცვლილებები საგადასახადო ვალდებულებებში		945	530
ცვლილებები სავაჭრო და სხვა კრედიტორულ დავალიანებებში		(251)	(1,085)
საოპერაციო საქმიანობიდან შემოსული ფულადი ნაკადები დაბეგვრამდე და პროცენტებამდე		11,350	7,551
გადახდილი მოგების გადასახადი		(66)	(111)
გადახდილი პროცენტი		(748)	(970)
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		10,536	6,470
საინვესტიციო აქტივობები			
ძირითადი საშუალების შესყიდვა		(3,157)	(4,478)
არამატერიალური აქტივების შესყიდვა		-	(14)
ინვესტიცია მეკავშირე საწარმოში		(65)	-
გაცემული სესხები		(4,491)	253
საინვესტიციო აქტივობებში გამოყენებული წმინდა ფულადი ნაკადები		(7,713)	(4,239)
ფინანსური აქტივობები			
აღებული/(დაფარული) სესხი	16	(454)	(1,363)
გადახდილი დივიდენდი		(1,347)	(1,869)
მიღებული პროცენტი		183	1,035
ნეტო წმინდა ფულადი ნაკადები ფინანსურ აქტივობებში		(1,618)	(2,197)
ნეტო ზრდა/(შემცირება) ფულის ან ფულადი ექვივალენტების		1,205	34
ფული და ფულადი ნაკადები პერიოდის დასაწყისში		5,175	4,982
კურსთა შორის სხვაობის ეფექტი ფულად სახსრებზე	10	(190)	159
ფული და ფულის ექვივალენტები პერიოდის ბოლოს		6,190	5,175

1. კორპორატიული ინფორმაცია

საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ (შემდგომში „კომპანია“) არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, რომელიც დაარსებულია საქართველოში 2001 წლის 19 ნოემბერს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანიის საიდენტიფიკაციო ნომერია 208215509.

ძირითადი საქმიანობა. კომპანიის ძირითადი საქმიანობაა საგანმანათლებლო სერვისის მიწოდება. კომპანიას აქვს, როგორც საბაკალავრო, ასევე სამაგისტრო პროგრამები. სეუ თავის საგანმანათლებლო საქმიანობას წარმართავს ბიზნესის ადმინისტრირებისა და ტექნოლოგიების, სოციალური მეცნიერებების, მედიცინის, იურიდიული და განათლების აკადემიური მიმართულებებით.

იურიდიული მისამართი და საქმიანობის ადგილი. კომპანიის იურიდიული მისამართია საქართველო, თბილისი, ისნის რაიონი, წინანდლის ქუჩა #9. კომპანიის სათაო ოფისი და საქმიანობის ადგილი არის იგივე მისამართზე.

კომპანიის მეწილეები: ფინანსური ანგარიშგების მომზადების თარიღისთვის, ისევე როგორც საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში კომპანიის 100%-იან წილს ფლობდა გია კავთელიშვილი.

2. მომზადების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე. ფინანსური უწყისები წარმოდგენილია ლარში და ღირებულებები დამრგვალებულია ათასებამდე, თუ სხვა რამ არ არის მითითებული.

კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს 1 სექტემბრიდან 31 აგვისტომდე 12 თვიან პერიოდს.

შესაბამისობის განცხადება.

აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება შესაბამისობაშია მცირე და საშუალო ზომის კომპანიებისთვის განსაზღვრული ფინანსური ანგარიშგების შედგენის საერთაშორისო სტანდარტთან (შემდგომში მსს ფასს) და საქართველოს კანონთან „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“.

ფინანსური ანგარიშგების მომზადება მსს ფასს-ის შესაბამისად მოითხოვს მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების გამოყენებას. ასევე მოითხოვს ხელმძღვანელობამ გამოიყენოს მისი შეფასებები სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენების პროცესში. სფეროები, რომელიც გამოირჩევა უფრო მაღალი ხარისხის მსჯელობებით ან სირთულით, ან სფეროები, სადაც შეფასებები და დაშვებები მნიშვნელოვანია ფინანსური ანგარიშგებისთვის, წარმოდგენილია მე-5 შენიშვნაში.

ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს საფუძველზე. ფუნქციონირებადი საწარმოს საფუძვლის მიზანშეწონილობის შეფასებისას, კომპანია ითვალისწინებს ფულადი ნაკადების საპროგნოზო მონაცემებს, მათ შორის პესიმისტურს და რეალისტურს და მათზე დაყრდნობით ამზადებს ამ ანგარიშს ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპების მიხედვით.

საქართველოს ბიზნეს გარემო

კომპანია საქმიანობას საქართველოში ახორციელებს. საქართველოს განვითარებადი ეკონომიკის გარკვეული მაჩასიათებლები აქვს, მათ შორის შედარებით მაღალი ინფლაციის დონე და მაღალი საპროცენტო განაკვეთები. ქართული საგადასახადო კანონმდებლობა სხვადასხვაგვარ ინტერპრეტაციას ექვემდებარება და ხშირ ცვლილებებს განიცდის.

საქართველოს მომავალი ეკონომიკური განვითარება მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული მთავრობის მიერ მიღებულ ეკონომიკური, ფინანსური და მონეტარული გადაწყვეტილებების ეფექტურობაზე, ისევე როგორც საგადასახადო, საკანონმდებლო, მარეგულირებელ და პოლიტიკურ განვითარებაზე.

3. წინა პერიოდის კორექტირებები/შეცდომები

წინა პერიოდის შეცდომები არის საწარმოს ფინანსურ ანგარიშგებაში დაშვებული უზუსტობა ან ელემენტების გამოტოვება, წარმოქმნილი ერთი ან რამდენიმე პერიოდის წინ იმის გამო, რომ ვერ იქნა ან არასწორად იქნა გამოყენებული საიმედო ინფორმაცია, რომელიც:

ა) ხელმისაწვდომი იყო, როცა შესაბამისი პერიოდის ფინანსური ანგარიშგება ნებადართული იყო საჯარო გამოქვეყნებისათვის; და

ბ) მართლზომიერად მოსალოდნელი იყო, რომ მოძიებული და გათვალისწინებული იქნებოდა ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის დროს.

წინა პერიოდის კორექტირებები:

ძირითადი საშუალებები - მომზადებული ფორმა 2-ის შესაბამისად შენობის თვითღირებულების გადაანგარიშების შედეგად იდენტიფიცირდა გასულ პერიოდებში გამოტოვებული ინფორმაცია. შედეგად, ძირითადი საშუალებების ისტორიული ღირებულება 2020 წლის 31 აგვისტოს მდგომარეობით გაიზარდა 2,301 ლარით (2019: 860 ლარი), რამაც ასევე გავლენა იქონია მარაგებსა და ავანსების ნაშთებზე.

გარდა ამისა, კომპანიამ ნაწილობრივ ჩაატარა ძირითადი საშუალებების ინვენტარიზაცია, რა დროსაც მოხდა სასარგებლო მომსახურების ვადების გადასინჯვა და კორექტირებების ასახვა რეტროსპექტულად, რომელმაც 2020 წლის 31 აგვისტოს დასრულებული წლისთვის შეადგინა 279 ლარი (2019: 234 ლარი).

არამატერიალური აქტივები - ხარჯად აღიარებულია 56 ლარის ღირებულების არამატერიალური აქტივი, რაც არ აკმაყოფილებდა აქტივად აღიარების კრიტერიუმებს.

გრძელვადიანი აქტივებისთვის გადახდილი ავანსი - გასულ პერიოდებში ხორციელდებოდა ავანსების წარდგენა დაუმთავრებელ მშენებლობასთან ერთად. მიმდინარე წლის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას მენეჯმენტმა გადაწყვიტა რომ აქტივის შესაქმნელად გადახდილი ავანსი წარადგინოს ცალკე მუხლად როგორც გრძელვადიანი აქტივი. ნაშთების მიმოხილვისას 260 ლარის ღირებულების ავანსი ექვემდებარებოდა გაუფასურებას გასულ პერიოდებში. უზუსტობის ეფექტი აისახა რეტროსპექტიულად.

სასაქონლო მატერიალური მარაგები - კორექტირება სრულად მოიცავს ძირითადი საშუალებების კორექტირების ეფექტს. გაუხარჯავი მასალები რაც გასულ პერიოდებში წარდგენილი იყო მიმდინარე მშენებლობის ნაწილად, რეკლასიფიცირდა სასაქონლო მატერიალურ მარაგებში.

გაცემული სესხები - სრულად გაუფასურებულ სესხებზე გასულ პერიოდებში დარიცხული საპროცენტო შემოსავლის კორექტირება.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები - 2020 წელს სწავლებიდან მიღებული შემოსავალი დაკორექტირდა 219 ლარით, შესაბამისად, დაკორექტირდა მოთხოვნები სწავლებიდან.

ანარიცხი პირობითი ვალდებულებებისათვის - კომპანიას არ ჰქონდა შექმნილი ანარიცხი, იმ ვალდებულებებისათვის, რომელიც აკმაყოფილებდა პირობითი ვალდებულებების აღიარების კრიტერიუმებს, კომპანიამ მიმდინარე პერიოდში შექმნა და რეტროსპექტულად ასახა პირობითი ვალდებულებების ანარიცხები.

მიღებული სესხები - სესხების სისწორის შემოწმებისას აღმოჩნდა, რომ არასწორად იყო მომხდარი გადაფასება გასულ პერიოდში. კორექტირება აისახა შესაბამის პერიოდებში.

სავაჭრო ვალდებულებები - კომპანიამ მიმდინარე პერიოდში ასახა, გასულ პერიოდებში გაწეული ხარჯების რეკლასიფიცირების შედეგად წარმოქმნილი გადასახადები.

საგადასახადო ვალდებულებები - მენეჯმენტმა ყველა საანგარიშგებო თარიღისთვის გადაიანგარიშა ღირებულება იმ ვალდებულებების რაც აკმაყოფილებდა აღიარების კრიტერიუმებს და შეუდარა ბუღალტრულ ნაშთს, იდენტიფიცირებული სხვაობები აისახა რეტროსპექტიულად შესაბამის პერიოდებში.

რეკლასიფიკაციები - ფინანსური ანგარიშგების შესადარისობის პრინციპის უზრუნველყოფისა და ფინანსური ანგარიშგების სამართლიანად წარმოდგენის მიზნით გაკეთებულია რეკლასიფიკაციები ბალანსის და მოგება-ზარალის მუხლებს შორის.

შპს „საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2021 წლის 31 აგვისტოს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

3. წინა პერიოდის კორექტირებები/შეცდომები (გაგრძელება)

2020 წლის 31 აგვისტოს ფინანსურ მდგომარეობაზე კორექტირებების და რეკლასიფიკაციების შედეგი შესაძლებელია წარმოვადგინოთ შემდეგი სახით:

	31 აგვისტო 2020	კორექტირება	რეკლასი- ფიკაცია	31 აგვისტო 2020 (გადაანგარიშებული)
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	37,896	2,301	(1,526)	38,671
არამატერიალური აქტივები	90	(56)	-	34
გაცემული სესხები	-	-	5,395	5,395
გრძელვადიანი აქტივებისთვის გადახდილი ავანსი	-	(260)	1,451	1,191
სულ გრძელვადიანი აქტივები	37,986	1,985	5,320	45,291
მიმდინარე აქტივები				
სასაქონლო მატერიალური მარაგები	115	-	988	1,103
გაცემული სესხების მიმდინარე ნაწილი	7,825	(4)	(5,395)	2,426
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	24	219	37	280
ავანსები	950	-	(950)	-
საგადასახადო აქტივები	982	-	(982)	-
ფული და ფულის ეკვივალენტები	5,175	-	-	5,175
სულ მიმდინარე აქტივები	15,071	215	(6,302)	8,984
სულ აქტივები	53,057	2,200	(982)	54,275
კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი	2	-	-	2
გაუნაწილებელი მოგება	43,944	(278)	-	43,666
სულ კაპიტალი	43,946	(278)	-	43,668
გრძელვადიანი ვალდებულებები				
გრძელვადიანი სესხები	2,816	-	(2,816)	-
ანარიცხი პირობითი	-	171	-	171
ვალდებულებებისათვის				
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები	2,816	171	(2,816)	171
მიმდინარე ვალდებულებები				
საგადასახადო ვალდებულებები	-	2,771	(982)	1,789
მოკლევადიანი სესხები	5,610	(137)	2,816	8,289
სავაჭრო ვალდებულებები	685	(327)	-	358
სულ მიმდინარე ვალდებულებები	6,295	2,307	1,834	10,436
სულ ვალდებულებები და კაპიტალი	53,057	2,200	(982)	54,275

შპს „საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2021 წლის 31 აგვისტოს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

3. წინა პერიოდის კორექტირებები/შეცდომები (გაგრძელება)

2019 წლის 1 სექტემბრის ფინანსურ მდგომარეობაზე კორექტირებების და რეკლასიფიკაციების შედეგი შესაძლებელია წარმოვადგინოთ შემდეგი სახით:

	1 სექტემბერი 2019	კორექტირება	რეკლასი- ფიკაცია	1 სექტემბერი 2019 (გადაანგარიშებული)
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	35,572	860	(2,022)	34,410
არამატერიალური აქტივები	61	(28)	-	33
გაცემული სესხები	5,568	(21)	(413)	5,134
გრძელვადიანი აქტივებისთვის გადახდილი ავანსი	-	151	1,361	1,512
სულ გრძელვადიანი აქტივები	41,201	962	(1,074)	41,089
მიმდინარე აქტივები				
სასაქონლო მატერიალური მარაგები	48	-	971	1,019
გაცემული სესხების მიმდინარე ნაწილი	2,453	-	413	2,866
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	63	24	-	87
ავანსები	310	-	(310)	-
საგადასახადო აქტივები	1,134	-	(1,134)	-
ფული და ფულის ეკვივალენტები	4,982	-	-	4,982
სულ მიმდინარე აქტივები	8,990	24	(60)	8,954
სულ აქტივები	50,191	986	(1,134)	50,043
კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი	2	-	-	2
გაუნაწილებელი მოგება	40,215	(1,525)	-	38,690
სულ კაპიტალი	40,217	(1,525)	-	38,692
გრძელვადიანი ვალდებულებები				
გრძელვადიანი სესხები	1,512	-	(1,512)	-
ანარიცხი პირობითი ვალდებულებებისათვის	-	171	-	171
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები	1,512	171	(1,512)	171
მიმდინარე ვალდებულებები				
საგადასახადო ვალდებულებები	-	2,393	(1,134)	1,259
მოკლევადიანი სესხები	8,105	(3)	1,512	9,614
სავაჭრო ვალდებულებები	357	(50)	-	307
სულ მიმდინარე ვალდებულებები	8,462	2,340	378	11,180
სულ ვალდებულებები და კაპიტალი	50,191	986	(1,134)	50,043

შპს „საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2021 წლის 31 აგვისტოს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

3. წინა პერიოდის კორექტირებები/შეცდომები (გაგრძელება)

2020 წლის შედეგებზე კორექტირებების და რეკლასიფიკაციების შედეგი შესაძლებელია წარმოვადგინოთ შემდეგი სახით:

	1 სექტემბერი 2019- 31 აგვისტო 2020	კორექტი- რება	რეკლასი- ფიკაცია	1 სექტემბერი 2019- 31 აგვისტო 2020 (გადაანგარიშებული)
შემოსავალი სასწავლო პროგრამებიდან	16,946	219	-	17,165
სხვა შემოსავალი	174	-	-	174
საერთო მოგება	17,120	219	-	17,339
შრომის ანაზღაურების ხარჯი	(5,543)	-	39	(5,504)
ცვეთა და ამორტიზაცია	(2,344)	627	-	(1,717)
კომუნალური ხარჯი	-	-	(343)	(343)
სტიპენდიის ხარჯი	(344)	-	-	(344)
აკრედიტაციასთან დაკავშირებული ხარჯი	-	-	(674)	(674)
საგადასახადო ხარჯი	-	-	(447)	(447)
მიწოდებისა და რეკლამის ხარჯი	-	-	(166)	(166)
აქტივების გაუფასურების ხარჯი	(233)	132	-	(101)
სხვა საოპერაციო ხარჯი	(3,193)	255	1,591	(1,347)
საოპერაციო მოგება	5,463	1,233	-	6,696
ფინანსური შემოსავალი	1,209	(100)	-	1,109
ფინანსური ხარჯი	(999)	-	-	(999)
მოგება/ზარალი კურსთაშორისი სხვაობიდან	15	135	-	150
მოგება მოგების გადასახადამდე	5,688	1,268	-	6,956
მოგების გადასახადი	(91)	(20)	-	(111)
წმინდა მოგება	5,597	1,248	-	6,845

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

უცხოური ვალუტა. ლარი არის კომპანიის მთავარი საოპერაციო ვალუტა, ვინაიდან ლარი არის იმ ქვეყნის მთავარი საოპერაციო ვალუტა, რომელშიც კომპანია ფუნქციონირებს. უცხოურ ვალუტაში ასახული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორისი სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშებზე. უცხოურ ვალუტაში გამოხატული შედეგები აღირიცხება ოპერაციის განხორციელების დღეს არსებული გაცვლის კურსის შესაბამისად. უცხოური ვალუტით მიღებული არამონეტარული მუხლები შეფასებულია ოპერაციის დღის კურსით.

2021 და 2020 წლის 31 აგვისტოს, ასევე 2019 წლის 1 სექტემბრის უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული ბოლო გაცვლითი კურსი იყო შემდეგი:

	საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსი	
	აშშ დოლარი	ევრო
კურსი 2021 წლის 31 აგვისტოსთვის	3.1170	3.6768
კურსი 2020 წლის 31 აგვისტოსთვის	3.0696	3.6243
კურსი 2019 წლის 1 სექტემბრისთვის	2.9457	3.2523

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს, ბანკებში არსებულ დეპოზიტებს და სხვა მოკლევადიან მაღალლიკვიდურ ინვესტიციებს სამ თვემდე ვადით. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები არის ჩვეულებრივი საოპერაციო საქმიანობის ფარგლებში გაწეული სერვისის ან მიწოდებული საქონლის სანაცვლოდ მომხმარებლებისგან მისაღები თანხები. იმ შემთხვევაში, თუ მოთხოვნის დაფარვა მოსალოდნელია საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ თორმეტი თვის განმავლობაში ან ნაკლებ პერიოდში (ან მიმდინარე საოპერაციო ციკლის მანძილზე, თუ ეს ბიზნესისთვის დამახასიათებელია), წინააღმდეგ შემთხვევაში ისინი კლასიფიცირდება როგორც გრძელვადიანი აქტივები.

სავაჭრო დებიტორული დავალიანება თავდაპირველად გამოხატულია გარიგების თანხით, შემდგომში შეფასებულია ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით, საექვო ვალებზე შექმნილი რეზერვის გამოკლებით. გაუფასურების რეზერვი სავაჭრო და სხვა მოთხოვნებზე იქმნება მაშინ, როდესაც არსებობს ობიექტური საფუძველი, რომ კომპანია ვერ შეძლებს მხარეებს შორის შეთანხმებული პირობებით ანაზღაურების სრულად მიღებას.

ძირითადი საშუალებები.

- **აღიარება და შეფასება.** ძირითადი საშუალების თავდაპირველი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ აღირიცხება ისტორიული ღირებულებით, ცვეთის და გაუფასურების ზარალის გათვალისწინებით. მოგება ან ზარალი რომელიც წარმოიშობა ძირითადი საშუალებების ან მისი ერთეულის აღიარების შეწყვეტიდან (გაყიდვის ღირებულებას გამოკლებული საბალანსო ღირებულება) აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

- **შემდგომი დანახარჯები.** შემდგომი დანახარჯები შედის აქტივის მიმდინარე ღირებულებაში ან აღიარდება ცალკე აქტივად, საჭიროებისამებრ, მხოლოდ მაშინ, თუ მოსალოდნელია, რომ კომპანია მიიღებს აქტივთან დაკავშირებულ მომავალ ეკონომიკურ სარგებელს და აქტივის ღირებულების განსაზღვრა შესაძლებელია საიმედოდ. ჩანაცვლებული აქტივის საბალანსო ღირებულების აღიარება წყდება. შეკეთების და რემონტის ყველა სხვა ხარჯი აისახება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში იმ ფინანსურ პერიოდში, როცა ეს ხარჯები გაიწია.

- **დაუმთავრებელი მშენებლობა.** დაუმთავრებელი მშენებლობის დანახარჯები მოიცავს ძირითადი საშუალებების შექმნისა და მშენებლობის ხარჯებს. დაუმთავრებელი მშენებლობის ღირებულებაში შეიყვანება მათი შექმნისთვის და მშენებლობისთვის გამოყენებული: მასალები, შრომის ანაზღაურება, იმ ძირითადი საშუალებების ცვეთა, რომელიც მონაწილეობას იღებს მათ შექმნაში და მშენებლობაში და ასევე სხვა სახის ზედნადები ხარჯები. დაუმთავრებელი მშენებლობის ღირებულებაში ასევე შეყვანილია კონტრაქტორებისთვის გადახდილი ავანსები, რაზეც მიმდინარეობდა სამუშაოები ანგარიშგების შედგენის თარიღისათვის. დაუმთავრებელი მშენებლობა მაშინ შედის ექსპლუატაციაში და მაშინ იწყება ცვეთის დარიცხვა, როდესაც იგი მოყვანილია იმ კონდიციაში და მდგომარეობაში, რომ კომპანიას შეუძლია მისი გამოყენება დასახული მიზნისათვის.

- **ცვეთა.** აქტივის ნარჩენი ღირებულება და სასარგებლო მომსახურების ვადები საჭიროების შემთხვევაში გადაიხედება და რეგულირდება თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ძირითადი საშუალებაზე ან მის ცალკეულ ერთეულზე ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ როდესაც ის არის იმ ადგილას ან ისეთ სამუშაო მდგომარეობაში მოყვანილი, რაც აუცილებელია მის გამოსაყენებლად. თუ ძირითადი საშუალება ერთხელ შევიდა ექსპლუატაციაში მას ცვეთა ერიცხება ბოლომდე, თუ არ ამოხდა მისი გადატანა გასაყიდად გამიზნულად ან ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტისას.

მიწას ცვეთა არ ერიცხება. ძირითადი საშუალებებს ცვეთა ერიცხება წრფივი ცვეთის მეთოდით, ძირითადი საშუალების სასარგებლო მომსახურების ვადის შესაბამისად.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადებია:

ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადა
შენობები	10-50
ოფისის აღჭურვილობა	2-10
სამედიცინო დანადგარები	2-15
სატრანსპორტო საშუალებები	5-10
სხვა	3-10

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

არამატერიალური აქტივები.

- **აღიარება და შეფასება.** არამატერიალური აქტივები მოიცავს განსაზღვრული სასარგებლო მომსახურების ვადის მქონე სააღრიცხვო პროგრამებს. ცალკე შემენილი არამატერიალური აქტივები აღრიცხულია თვითღირებულებით დაგროვილი ამორტიზაციისა და გაუფასურების ზარალის გამოკლებით.
- **ამორტიზაცია.** ამორტიზება უნდა დაიწყოს მაშინ, როდესაც შესაძლებელია აქტივის გამოყენება, მაგ., როდესაც ის იმყოფება იმ ადგილზე და იმ მდგომარეობაში, როცა მისი გამოყენება შესაძლებელია ხელმძღვანელობის მიერ დასახული მიზნით. შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადის მქონე არამატერიალური აქტივის ამორტიზებადი თანხა სისტემატურად უნდა გადანაწილდეს მის სასარგებლო მომსახურების ვადაზე.

არამატერიალურ აქტივებს ამორტიზაცია ერიცხებათ წრფივად სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადები წარმოდგენილია ცხრილში შემდეგნაირად:

სასარგებლო მომსახურების ვადა	
ჯგუფი	
პროგრამული უზრუნველყოფა	10
ვებ-გვერდი	10
სხვა არამატერიალური აქტივები	5-10

მარაგები. კომპანიის მარაგები თავდაპირველად აღირიცხება თვითღირებულებით, ხოლო შემდეგ ნეტო სარეალიზაციო ღირებულებასა და თვითღირებულებას შორის უმცირესი თანხით. თვითღირებულება მოიცავს შესყიდვის ყველაწარმოებულ დანახარჯს და სხვა ხარჯებს, რომელიც გაწეულია მარაგების ახლანდელ მდებარეობასა და მდგომარეობაში მოსაყვანად. მაგალითად, ტრანსპორტირების ხარჯი, საბაჟო გადასახადი და სხვა პირდაპირ მიკუთვნებადი ხარჯები.

კომპანია მარაგების აღრიცხვისთვის იყენებს საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდს.

არაფინანსური აქტივების გაუფასურება. აქტივები, რომლებიც ექვემდებარება გაუფასურებას და ამორტიზაციას შემოწმებულია გაუფასურებაზე იმ შემთხვევაში, როდესაც მოვლენები ან გარემოებების ცვლილებები მიუთითებს, რომ მიმდინარე საბალანსო ღირებულება შესაძლოა არ იყოს ანაზღაურებადი. გაუფასურების ზარალი აღიარებულია იმ თანხის ოდენობით, რომლითაც აქტივის საბალანსო ღირებულება აღემატება მის ანაზღაურებად თანხას.

გადახდილი ავანსი. გადახდილი ავანსი აღირიცხება თვითღირებულებით, შემცირებული გაუფასურების ანარიცხებით. გადახდილი ავანსი კლასიფიცირდება, როგორც გრძელვადიანი, როდესაც მოსალოდნელია, რომ გადახდილი ავანსი დაკავშირებული საქონელი ან მომსახურება მიღებული იქნება ერთი წლის შემდეგ, ან, როდესაც გადახდილი ავანსი დაკავშირებულია აქტივთან, რომელიც საწყისი აღიარებისას კლასიფიცირებული იქნება როგორც გრძელვადიანი. აქტივის შესაძენად გადახდილი ავანსები გადადის ამ აქტივის საბალანსო ღირებულებაში ჯგუფის მიერ აქტივზე კონტროლის მოპოვების შემდეგ და როდესაც მოსალოდნელია, რომ ამ აქტივთან დაკავშირებული სამომავლო ეკონომიკური სარგებელი ჯგუფში შემოვა. სხვა გადახდილი ავანსები მოგება-ზარალში ჩამოიწერება გადახდილი ავანსთან დაკავშირებული საქონლის ან მომსახურების მიღებისას. როდესაც არსებობს მინიშნება, რომ აქტივები, საქონელი ან მომსახურება, დაკავშირებული გადახდილი ავანსთან, არ იქნება მიღებული, მაშინ გადახდილი ავანსის საბალანსო ღირებულება შესაბამისად ჩამოიწერება და შესაბამისი გაუფასურების ზარალი აღიარდება წლის მოგებაში ან ზარალში.

ინვესტიციები მეკავშირე საწარმოში. ინვესტიციები შეფასებულია თვითღირებულებით, დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლების შედეგად მიღებული თანხით. ინვესტიციიდან მიღებული დივიდენდები და სხვა სახის განაწილებები აღიარდება როგორც შემოსავალი.

სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანებები. სავაჭრო დავალიანებების დარიცხვა ხდება მაშინ, როდესაც მეორე მხარემ შეასრულა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები და აისახება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით.

სესხები. სესხები თავდაპირველად აღიარებულია რეალური ღირებულებით, შესაბამისი საოპერაციო ხარჯების გამოკლებით და შემდგომში ასახულია ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით.

გადასახადები. 2016 წლის მაისში საქართველოს მთავრობამ მიიღო ცვლილება მოგების გადასახადით დაბეგვრის შესახებ, რომელიც ძალაში შევიდა ყველა კომპანიისთვის, გარდა ფინანსური ინსტიტუტებისა, 2017 წლის 1

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

იანვრიდან. ახალი მოდელის მიხედვით გაუნაწილებელი მოგება არ იბეგრება, ხოლო განაწილებული იბეგრება 15%-იანი მოგების გადასახადის განაკვეთით, ნაცვლად წინა პერიოდებისა, როდესაც 15%-იანი მოგების გადასახადით იბეგრებოდა დაგროვილი მოგება განაწილების მიუხედავად. ცვლილების შედეგად, აქტივების და ვალდებულებების საბალანსო და საგადასახადო ღირებულებებს შორის არ არსებობს დროებითი სხვაობები, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს გადავადებული საგადასახადო აქტივების ან ვალდებულებების აღიარება. შესაბამისად კომპანია აღარ

აღიარებს მიმდინარე და გადავადებულ მოგების გადასახადს და საგადასახადო ხარჯი დაკავშირებული მოგების განაწილებასთან აღიარდება მიმდინარე პერიოდის სრული შემოსავლის ანგარიშგებაში შესაბამისი გადაწყვეტილების მიღების თარიღის შესაბამისად.

გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში რა პერიოდშიც წარმოიქმნება მავალდებულებელი მოვლენა. მავალდებულებელ მოვლენას წარმოადგენს ქმედება ან ფაქტი, რომელიც საქართველოს საგადასახადო კოდექსით განაპირობებს გადასახადის გადახდას. წინასწარ გადახდილი გადასახადები, რომლიდანაც მოსალოდნელია მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღიარდება აქტივად.

განუსაზღვრელი საგადასახადო პოზიციები. კომპანიის განუსაზღვრელი საგადასახადო პოზიციები თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ხელახლა შეფასდება ხელმძღვანელობის მიერ. შეფასება ეფუძნება საგადასახადო კანონმდებლობის ინტერპრეტაციას, რომლებიც ამოქმედდა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს და ამგვარი საკითხების შესახებ ცნობილია სასამართლოს ან სხვა განჩინებებით.

დამატებული ღირებულების გადასახადი. გაყიდვებთან დაკავშირებული დამატებული ღირებულების გადასახადი გადასახდელია საგადასახადო ორგანოებისთვის იმ თარიღისთვის, რომელი მოვლენაც უფრო ადრე დგება (ა) კლიენტებისგან მისაღები ავანსების შეგროვება ან (ბ) საქონლის ან მომსახურების მიწოდება. ის ოპერაციები რომელიც ექვემდებარება დღგ-ით დაბეგვრას ან შესაძლებელია დღგ-ს ჩათვლის მიღება, სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარებულია დღგ-ით შემცირებული ღირებულებით.

კაპიტალი. ავტორიზებული კაპიტალი აღიარდება როგორც საწესდებო კაპიტალი იმ მოცულობით, რა მოცულობითაც კაპიტალი შევსებულია დამფუძნებლების მიერ. საწესდებო კაპიტალი აღიარდება დამფუძნებლების შენატანების რეალური ღირებულებით და კლასიფიცირებულია, როგორც წილობრივი ინსტრუმენტი.

ამონაგების აღიარება. ამონაგები შეფასებულია მიღებული ან მისაღები კომპენსაციის რეალური ღირებულებით და წარმოადგენს გაწეული მომსახურებისთვის მისაღები თანხის ოდენობას, დადგენილი შიდა შეღავათების ეფექტის გათვალისწინებით. კომპანია აღიარებს ამონაგებს, როდესაც ამონაგების ოდენობა შეიძლება ობიექტურად შეფასდეს და როდესაც მოსალოდნელია რომ მოცემული ოპერაციიდან საწარმო მიიღებს წინასწარ შეთანხმებულ სარგებელს. როდესაც ბარტერული ტრანზაქციით მიღებული საქონლის რეალური ღირებულება ობიექტურად არ არის შეფასებული, ამონაგები განისაზღვრება მიწოდებული საქონლის ან მომსახურების რეალური ღირებულებით.

სხვა შემოსავალი. სხვა შემოსავლის აღიარება ხდება, როცა არსებობს რწმუნება, რომ კომპანია განხორციელებული ოპერაციებიდან მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს და შესაძლებელია შემოსავლის ოდენობის საიმედოდ განსაზღვრა. შემოსავლის აღიარება ხდება მის მიღებაზე გაწეული ხარჯების გამოკლებით ოპერაციის განხორციელების პერიოდისათვის.

სხვა ხარჯების აღიარება. მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ხარჯები აღიარდება თუ ის იწვევს მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირებას, რომელიც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება. ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება დაუყოვნებლივ, შესაბამისი კრიტერიუმების დაკმაყოფილებისას.

ხელფასები და ბონუსები. ხელფასები, ბონუსები და არამონეტარული სარგებელი აღიარდება დარიცხვის მეთოდით იმ პერიოდში, როდესაც შესაბამისი მომსახურება მიიღო კომპანიამ დასაქმებულისგან.

საპენსიო შენატანები. 2018 წლის მაისში საქართველოს მთავრობამ მიიღო კანონი დაგროვებითი პენსიის შესახებ, რომელიც ძალაში შევიდა 2019 წლის 1 იანვრიდან. საპენსიო რეფორმის მიხედვით, სისტემაში ჩართული დასაქმებული პირის მხრიდან სახელმწიფო ბიუჯეტში განხორციელდებოდა 2%-ის გადახდა, აღნიშნული ნაწილი იფარება თანამშრომლის ხელფასიდან და კომპანიას ეს ნაწილი დამატებით ხარჯად არ ეკისრება. აღნიშნულის პარალელურად დამსაქმებელი თავის მხრივ, დამატებით 2%-ს რიცხავს, რომელიც ხარჯად აღიარდება ხელფასის ხარჯის დარიცხვასთან ერთად და წარმოდგენილია სხვა საოპერაციო ხარჯებში.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

დივიდენდები. დივიდენდები აღირიცხება, როგორც ვალდებულება და იქვეთება კაპიტალიდან იმ პერიოდში, როდესაც ხდება მათი გამოცხადება და დამტკიცება. ნებისმიერი დივიდენდი, რომელიც ცხადდება საანგარიშგებო პერიოდის დასრულების შემდეგ და მანამ, სანამ მოხდება ფინანსური ანგარიშგების გამოშვებაზე გადაწყვეტილების მიღება, აღიარებულია ბალანსის შემდგომი მოვლენების შენიშვნაში.

სახელმწიფო გრანტები. სახელმწიფო გრანტები, მათ შორის არაფულადი გრანტები რეალური ღირებულებით, ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარდება მაშინ, როდესაც არსებობს საკმარისი რწმუნება, რომ კომპანია შეასრულებს გრანტთან დაკავშირებულ პირობებს ან/და გრანტი იქნება მიღებული. სახელმწიფო გრანტის აღიარება არ ხდება

მანამ, სანამ კომპანიას არ ექნება საკმარისი რწმუნება იმისა, რომ დააკმაყოფილებს გრანტის პირობებს და მიიღებს თანხას.

ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან. დაკავშირებული მხარე არის პირი ან საწარმო, რომელიც დაკავშირებულია იმ საწარმოსთან, რომელიც ამზადებს ფინანსურ ანგარიშგებას (ანგარიშვალდებული საწარმო).

(ა) პირი ან მისი ახლო ნათესავი მიიჩნევა ანგარიშვალდებული საწარმოსთვის დაკავშირებულ მხარედ, თუ ეს პირი:

- (i) არის ანგარიშვალდებული საწარმოს, ან მისი მშობელი საწარმოს უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის წევრი;
- (ii) აკონტროლებს ან ერთობლივად აკონტროლებს ანგარიშვალდებულ საწარმოს; ან
- (iii) მას აქვს მნიშვნელოვანი გავლენა ანგარიშვალდებულ საწარმოზე;

(ბ) საწარმო მიიჩნევა ანგარიშვალდებული საწარმოსთვის დაკავშირებულ მხარედ, თუ შემდეგი პირობებიდან რომელიმე არსებობს:

- (i) ეს საწარმო და ანგარიშვალდებული საწარმო არიან ერთი და იმავე ჯგუფის წევრები (რაც იმას ნიშნავს, რომ მშობელი საწარმო, შვილობილი საწარმო და იმავე მშობელი საწარმოს სხვა შვილობილი საწარმოები ერთმანეთთან არიან დაკავშირებული);
- (ii) ერთი საწარმო არის მეორის მეკავშირე საწარმო ანერთობლივი საქმიანობა (ან იმ ჯგუფის რომელიმე წევრის მეკავშირე საწარმო ან ერთობლივი საქმიანობა, რომლის წევრიც არის მეორე საწარმო);
- (iii) ორივე საწარმო წარმოადგენს ერთი და იმავე მესამე საწარმოს ერთობლივ საქმიანობას;
- (iv) ერთი საწარმო არის რომელიმე მესამე საწარმოს ერთობლივი საქმიანობა, ხოლო მეორე საწარმო არის იმავე მესამე საწარმოსთვის მეკავშირე საწარმო;
- (v) ეს საწარმო არის ანგარიშვალდებული საწარმოს, ან ანგარიშვალდებულ საწარმოსთან დაკავშირებული რომელიმე საწარმოს დაქირავებულ პირთა შრომითი საქმიანობის შემდგომი გასამრჯელოების პროგრამის განმახორციელებელი. თუ ანგარიშვალდებული საწარმო თვითონ არის ასეთი პროგრამის განმახორციელებელი, სპონსორი დამქირავებლებიც ანგარიშვალდებული საწარმოსთვის დაკავშირებულ მხარედ მიიჩნევა;
- (vi) ამ საწარმოს აკონტროლებს, ან ერთობლივად აკონტროლებს (ა) ქვეპუნქტში მითითებული რომელიმე პირი;
- (vii) ეს საწარმო, ან იმავე ჯგუფში შემავალი სხვა საწარმო, რომლის ნაწილიც ის არის, ანგარიშვალდებული საწარმოსთვის, ან ანგარიშვალდებული საწარმოს მშობელი საწარმოსთვის ასრულებს მმართველობითი ხასიათის მომსახურებას;
- (viii) პუნქტში მითითებულ რომელიმე პირს აქვს მნიშვნელოვანი გავლენა ამ საწარმოზე, ან ეს პირი არის ზემოაღნიშნული საწარმოს (ან მისი მშობელი საწარმოს) უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის წევრი.

თითოეულ შესაძლო დაკავშირებულ მხარესთან ურთიერთობის განხილვისას, ჯგუფი აფასებს თავად ურთიერთობის შინაარსს და არა მარტო მის იურიდიულ ფორმას.

ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები. ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევა კომპანიის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. ბალანსის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

კლასიფიკაცია მიმდინარე/გრძელვადიანის მიხედვით. კომპანია ფინანსური მდგომარეობის უწყისში აქტივებსა და ვალდებულებებს ყოფს მიმდინარე/გრძელვადიანი კლასიფიკაციით. აქტივი მიმდინარეა, თუ:

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

- მოსალოდნელია მისი გაყიდვა ან განკუთვნილია გასაყიდად ან მოსახმარებლად მომდევნო საანგარიშო პერიოდში და ძირითადად ინახება სავაჭრო მიზნებისთვის
- მოსალოდნელია მისი გაყიდვა საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის ვადაში
- ის წარმოადგენს ნაღდ ფულს და ნაღდი ფულის ექვივალენტებს, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა გაყიდულია რაიმე ვალდებულების დაზღვევისთვის, საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის განმავლობაში

ყველა სხვა აქტივი აღიარდება გრძელვადიანად.

ვალდებულება მიმდინარეა, თუ:

- მოსალოდნელია მისი დაფარვა მომდევნო საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში
- ძირითადად გამოიყენება სავაჭრო მიზნებისთვის
- მოსალოდნელია მისი დაფარვა საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის განმავლობაში
- არ არსებობს ვალდებულების გადახდის თარიღის გადავადების უპირობო უფლება, საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის შემდეგ. სხვა ყველა ვალდებულება აღიარდება გრძელვადიანად.

5. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები

კომპანია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და დაშვებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის არსებულ გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის გათვალისწინებით. მომავალ პერიოდებში მიღებული ფაქტიური შედეგი, შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

- **სავაჭრო მოთხოვნების და გაცემული სესხების რეზერვი.** ყოველი საანგარიშო პერიოდის ბოლოს კომპანია აფასებს არსებობს თუ არა იმის ნიშანი, რომ ფინანსური აქტივი გაუფასურებულია. თუ არსებობს საკმარისი ნიშნები გაუფასურებისთვის, აქტივის ღირებულება მცირდება რეზერვის საშუალებით და ზარალის თანხა აღიარდება როგორც მიმდინარე პერიოდის ხარჯი. გაუფასურების ჯგუფური შეფასების მიზნით დებიტორული დავალიანება დაჯგუფებულია მსგავსი საკრედიტო რისკის მახასიათებლების საფუძველზე. ასეთი მახასიათებლები შეესაბამება სამომავლო ფულადი ნაკადების შეფასებას ასეთი აქტივების ჯგუფებისთვის, თითოეულ კატეგორიას განსაზღვრული აქვს ამ კატეგორიისთვის სპეციფიური გაუფასურების რეზერვი. მნიშვნელოვანი მოთხოვნები და გაცემული სესხები თავდაპირველად გაუფასურებაზე ფასდება ინდივიდუალურად. რეალური შედეგები შესაძლოა განსხვავდებოდეს შეფასებისაგან და კომპანიის შეფასებები შეიძლება უარყოფითად ან დადებითად გადაიხედოს მომავალში, შედეგების ან მოლოდინების მიხედვით.

- **ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის შეფასება.** აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისას, მენეჯმენტი განიხილავს მოსალოდნელ გამოყენებას, სავარაუდო ტექნიკურ მოძველებას, ფიზიკურ ცვეთას და გარემოს, რომელშიც ხდება აქტივის გამოყენება. ჩამოთვლილი პირობებისა თუ შეფასებების სისტემის ნებისმიერმა ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს მომავალი ცვეთის განაკვეთის კორექტირება.

- **საგადასახადო კანონმდებლობა.** მენეჯმენტი გაურკვეველ საგადასახადო მიდგომებს ხელახლა აფასებს ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ვალდებულებები აღიარდება იმ საგადასახადო მიდგომებისთვის, რაზეც ხელმძღვანელობის ვარაუდით საგადასახადო ორგანოები მაღალი ალბათობით დააკისრებენ კომპანიას დამატებით გადასახადებს, იმ შემთხვევაში, თუკი აღნიშნულ პოზიციებს სადავოდ გახდიან. შეფასება ეყრდნობა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის ძალაში შესულ ან არსებითად ძალაში შესულ საგადასახადო კანონების ინტერპრეტაციას, აგრეთვე სასამართლოს ან სხვა რომელიმე ცნობილ გადაწყვეტილებას აღნიშნულ საკითხებზე.

შპს „საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2021 წლის 31 აგვისტოს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

6. შემოსავალი სასწავლო პროგრამებიდან

შემოსავალი სასწავლო პროგრამებიდან წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2021 წლის 31 აგვისტოს დასრულებული წლისათვის	2020 წლის 31 აგვისტოს დასრულებული წლისათვის
შემოსავლი ქართულენოვანი სექტორიდან	16,998	13,970
შემოსავლი ინგლისურენოვანი სექტორიდან	3,887	3,195
სულ	20,885	17,165

ინფორმაცია ფაკულტეტების მიხედვით დეზაგრეგირებული შემოსავლების შესახებ:

	2021 წლის 31 აგვისტოს დასრულებული წლისათვის	2020 წლის 31 აგვისტოს დასრულებული წლისათვის
მედიცინა	3,973	3,265
სამართალი	3,476	2,857
ფსიქოლოგია	2,725	2,240
ტურიზმი	2,600	2,137
ბიზნესის ადმინისტრირება	2,273	1,868
საერთაშორისო ურთიერთობები	1,804	1,483
მენეჯმენტი	1,542	1,268
ჟურნალისტიკა	1,045	859
ფინანსები	767	631
ადამიანური რესურსების მართვა	321	264
განათლების ადმინისტრირება	233	191
საბანკო საქმე	126	102
სულ	20,885	17,165

7. სხვა შემოსავალი

სხვა შემოსავალი წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2021 წლის 31 აგვისტოს დასრულებული წლისათვის	2020 წლის 31 აგვისტოს დასრულებული წლისათვის
სახელმწიფო დახმარება	180	120
შემოსავალი იჯარიდან	31	53
სხვა	-	1
სულ	211	174

2020 წელს ახალი კორონა ვირუსის გავრცელების შედეგად წარმოქმნილი ნეგატიური ეფექტის საპასუხოდ, საქართველოს მთავრობამ ბიზნესის ხელშეწყობის მიზნით მიიღო გადაწყვეტილება საშემოსავლო გადასახადის შეღავათის შესახებ. საგადასახადო შეღავათისგან მიღებული სარგებელი საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში შეადგენდა 180 ლარს (2020: 120 ლარი). ეს სარგებელი გამოიხატება დამსაქმებლებისთვის და შესაბამისად წარმოადგენს კომპანიისთვის სახელმწიფოსგან მიღებულ დახმარებას.

შპს „საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2021 წლის 31 აგვისტოს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

8. შრომის ანაზღაურების ხარჯი

შრომის ანაზღაურების ხარჯი წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2021 წლის 31 აგვისტოს დასრულებული წლისათვის	2020 წლის 31 აგვისტოს დასრულებული წლისათვის (გადაანგარიშებული)
აკადემიური პერსონალის ხელფასი	(3,121)	(2,442)
ადმინისტრაციული ხელფასი	(3,000)	(2,832)
თანამშრომელზე გაწეული სხვა სარგებელი	(129)	(230)
სულ	(6,250)	(5,504)

9. სტიპენდიის ხარჯი

სტიპენდიის ხარჯი წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2021 წლის 31 აგვისტოს დასრულებული წლისათვის	2020 წლის 31 აგვისტოს დასრულებული წლისათვის
სტიპენდია - პირველი პრიორიტეტი	(382)	(261)
სტიპენდია - სარეიტინგო ქულები	(57)	(83)
სულ	(439)	(344)

უნივერსიტეტში დადგენილია სტიპენდია პირველი პრიორიტეტით ჩარიცხული ყველა სტუდენტისთვის 750 ლარის ოდენობით (ერთეულ ლარში). აღნიშნული სტიპენდია იცვლება მეორე სემესტრიდან და დამოკიდებულია აკადემიური მოსწრების მაჩვენებელზე.

10. სხვა საოპერაციო ხარჯი

სხვა საოპერაციო ხარჯი წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2021 წლის 31 აგვისტოს დასრულებული წლისათვის	2020 წლის 31 აგვისტოს დასრულებული წლისათვის (გადაანგარიშებული)
კომუნიკაციის ხარჯები	(282)	(88)
სტუდენტების რეკრუტირების ხარჯი	(167)	(115)
საკონსულტაციო ხარჯი	(145)	(129)
სტუდენტური აქტივობების ხარჯი	(139)	(237)
ავტომობილის რემონტის და შენახვის ხარჯი	(126)	(114)
დასუფთავების ხარჯი	(86)	(152)
საწვავის ხარჯი	(71)	(101)
დაცვის ხარჯი	(65)	(65)
დაზღვევის ხარჯი	(63)	(62)
საკანცელარიო და საოფისე ხარჯი	(50)	(38)
თანამშრომლების ტრენინგის ხარჯი	(42)	(2)
რემონტის ხარჯი	(38)	(71)
ქსელური მოწყობილობების ხარჯი	(25)	(31)
წარმომადგენლობითი ხარჯი	(15)	(15)
სხვა	(121)	(127)
სულ	(1,435)	(1,347)

შპს „საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2021 წლის 31 აგვისტოს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

11. ფინანსური შემოსავალი

ფინანსური შემოსავალი წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2021 წლის 31 აგვისტოს დასრულებული წლისათვის	2020 წლის 31 აგვისტოს დასრულებული წლისათვის
საპროცენტო შემოსავალი გაცემული სესხებიდან	998	940
საპროცენტო შემოსავლები ანაზღაურებიდან	107	169
სულ	1,105	1,109

12. მოგება/ზარალი კურსთაშორისი სხვაობიდან

2020 წლის 1 სექტემბრიდან 2021 წლის 31 აგვისტოს ჩათვლით პერიოდის განმავლობაში კურსის ცვალებადობის ეფექტი კომპანიის შედეგებზე შესაძლებელია წარმოვადგინოთ შემდეგი სახით:

	ფული და ფულის ექვივალენტები	მიღებული სესხები	გაცემული სესხები	სავაჭრო ვალდებულებები	სულ
დადებითი საკურსო ეფექტი	133	-	-	5	138
უარყოფითი საკურსო ეფექტი	(323)	(4)	(92)	(12)	(431)
წმინდა საკურსო მოგება (ზარალი)	(190)	(4)	(92)	(7)	(293)

2019 წლის 1 სექტემბრიდან 2020 წლის 31 აგვისტოს ჩათვლით პერიოდის განმავლობაში კურსის ცვალებადობის ეფექტი კომპანიის შედეგებზე შესაძლებელია წარმოვადგინოთ შემდეგი სახით:

	ფული და ფულის ექვივალენტები	მიღებული სესხები	სავაჭრო ვალდებულებები	სულ
დადებითი საკურსო ეფექტი	420	-	2	422
უარყოფითი საკურსო ეფექტი	(261)	(9)	(2)	(272)
წმინდა საკურსო მოგება (ზარალი)	159	(9)	-	150

შპს „საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2021 წლის 31 აგვისტოს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

13. ძირითადი საშუალებები

ისტორიული ღირებულება	მიწა	შენობები	ოფისის და სასწავლო აღჭურვილობა	სამშენებლო ინვენტარი	სატრანსპორტო საშუალებები	მიმდინარე მშენებლობა	სხვა	სულ
1 სექტემბერი 2019 (გადაანგარიშებული)	4,044	12,542	6,685	569	1,140	16,792	871	42,643
შემოსვლა	2,505	-	1,090	17	-	2,185	168	5,965
გასვლა	-	-	-	-	-	-	-	-
31 აგვისტო 2020 (გადაანგარიშებული)	6,549	12,542	7,775	586	1,140	18,977	1,039	48,608
შემოსვლა	-	-	2,248	-	38	990	199	3,475
გასვლა	-	-	-	-	-	-	-	-
31 აგვისტო 2021	6,549	12,542	10,023	586	1,178	19,967	1,238	52,083
დაგროვილი ცვეთა								
1 სექტემბერი 2019 (გადაანგარიშებული)	-	(3,505)	(3,443)	(129)	(626)	-	(530)	(8,233)
ცვეთის ხარჯი	-	(474)	(1,006)	(58)	(107)	-	(59)	(1,704)
გასვლა	-	-	-	-	-	-	-	-
31 აგვისტო 2020 (გადაანგარიშებული)	-	(3,979)	(4,449)	(187)	(733)	-	(589)	(9,937)
ცვეთის ხარჯი	-	(473)	(1,292)	(58)	(109)	-	(75)	(2,007)
გასვლა	-	-	-	-	-	-	-	-
31 აგვისტო 2021	-	(4,452)	(5,741)	(245)	(842)	-	(664)	(11,944)
საბალანსო ღირებულება								
1 სექტემბერი 2019 (გადაანგარიშებული)	4,044	9,037	3,242	440	514	16,792	341	34,410
31 აგვისტო 2020 (გადაანგარიშებული)	6,549	8,563	3,326	399	407	18,977	450	38,671
31 აგვისტო 2021	6,549	8,090	4,282	341	336	19,967	574	40,139

შპს „საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2021 წლის 31 აგვისტოს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

13. ძირითადი საშუალებები (გაგრძელება)

მიმდინარე მშენებლობა მოიცავს უნივერსიტეტის კამპუსის მშენებლობას, რომლის დასრულება და ექსპლოატაციაში შესვლა იგეგმება 2022 -2023 წლებში.

2021 წლის 31 აგვისტოს კომპანიის საკუთრებაში არსებული მიწა და შენობა-ნაგებობები გამოყენებულია სს საქართველოს ბანკის საკრედიტო ხაზისა და სესხების უზრუნველყოფისათვის.

კომპანიას 2021 წლის 31 აგვისტოს მდგომარეობით 3,628 ლარის სრულად ამორტიზირებული ძირითადი საშუალებები ჰქონდა (2020 წლის 31 აგვისტო: 1,675 ლარი).

14. ინვესტიციები მეკავშირე საწარმოში

კომპანიამ 2021 წლის 19 ივლისის შეიძინა შპს "ჰოლივუდის კონოკადემია საქართველოს" 34%-იანი წილი. ინვესტიციები მეკავშირე საწარმოში 2021 წლის 31 აგვისტოს მდგომარეობით შეადგენს 168 ლარს.

კომპანია მეკავშირე საწარმოში განხორციელებულ ინვესტიციებს აღრიცხავს თვითღირებულების მოდელით.

15. გაცემული სესხები

გაცემული სესხები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31 აგვისტო 2021	31 აგვისტო 2020	1 სექტემბერი 2019
ფიზიკურ პირზე გაცემული სესხი	763	763	692
იურიდიულ პირებზე გაცემული სესხი	1,250	-	155
დაკავშირებულ მხარეებზე გაცემული სესხი	6,008	2,757	3,013
სულ მიმდინარე სესხები	8,021	3,520	3,860
რეზერვი უიმედო და საექვო მოთხოვნებზე	(1,094)	(1,094)	(994)
სულ მიმდინარე სესხები, ნეტო	6,927	2,426	2,866
დაკავშირებულ მხარეებზე გაცემული სესხი	6,215	5,395	5,134
სულ გრძელვადიანი სესხები	6,215	5,395	5,134
გაცემული სესხები, ნეტო	13,142	7,821	8,000

დაკავშირებულ მხარეებზე გაცემული სესხები წარმოადგენს გაცემულ სესხებსა და საკრედიტო ხაზებს 8%- 14%-მდე საპროცენტო სარგებლით. დაკავშირებულ მხარეებზე გაცემული სესხების ნაშთი 2021 წლის 31 აგვისტოს მდგომარეობით შეადგენს 13,142 ლარს, ხოლო 2020 წლის 31 აგვისტოს მდგომარეობით 7,821 ლარს.

სესხის რეკონსილაცია წლების განმავლობაში წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2021	2020
საწყისი ნაშთი	7,821	8,000
გაცემული სესხი	5,360	1,364
საპროცენტო შემოსავალი	998	941
სესხის დასაფარად მიღებული თანხა	(869)	(1,617)
მიღებული პროცენტი	(76)	(867)
საკურსო სხვაობა	(92)	-
საბოლოო ნაშთი	13,142	7,821

შპს „საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2021 წლის 31 აგვისტოს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

16. გრძელვადიანი აქტივებისთვის გადახდილი ავანსები

გრძელვადიანი აქტივებისთვის გადახდილი ავანსი წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31 აგვისტო 2021	31 აგვისტო 2020 (გადაანგარიშებული)	1 სექტემბერი 2019 (გადაანგარიშებული)
გადახდილი ავანსი	1,415	1,451	1,671
გაუფასურების ანარიცხი	(438)	(260)	(159)
ნეტო ნაშთი	977	1,191	1,512

გაუფასურების ანარიცხის მოძრაობა წლების მიხედვით შესაძლებელია წარმოვადგინოთ შემდეგნაირად:

	გრძელვადიანი აქტივებისთვის გადახდილი ავანსი	სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	სულ
1 სექტემბერი 2020	159	30	189
ზრდა	101	-	101
კლება	-	-	-
31 აგვისტო 2020	260	30	290
ზრდა	178	-	178
კლება	-	-	-
31 აგვისტო 2021	438	30	468

17. სასაქონლო მატერიალური მარაგები

სასაქონლო მატერიალური მარაგები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31 აგვისტო 2021	31 აგვისტო 2020 (გადაანგარიშებული)	1 სექტემბერი 2019 (გადაანგარიშებული)
მსხვილი სამშენებლო მასალები	743	676	323
წვრილი სამშენებლო მასალები	457	394	638
საწვავი	69	25	11
სხვა	12	8	47
სულ	1,281	1,103	1,019

18. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31 აგვისტო 2021	31 აგვისტო 2020 (გადაანგარიშებული)	1 სექტემბერი 2019 (გადაანგარიშებული)
მოთხოვნები სწავლებიდან	611	278	47
მოთხოვნები საწარმოს პერსონალის მიმართ	52	8	16
მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები	130	24	54
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები, ბრუტო	793	310	117
უიმედო დებიტორული დავალიანების ანარიცხი	(30)	(30)	(30)
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები, ნეტო	763	280	87

შპს „საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2021 წლის 31 აგვისტოს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

19. ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31 აგვისტო 2021	31 აგვისტო 2020	1 სექტემბერი 2019
ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში	-	-	4
ფული საბანკო ანგარიშზე ეროვნულ ვალუტაში	237	118	72
სადეპოზიტო ანგარიში ეროვნულ ვალუტაში	3	1,265	2
ფული საბანკო ანგარიშზე უცხოურ ვალუტაში	3,785	175	67
სადეპოზიტო ანგარიში უცხოურ ვალუტაში	2,165	3,617	4,837
სულ	6,190	5,175	4,982

2020-2021 ფინანსურ წელს სადეპოზიტო ანგარიშები განთავსებულია კომერციულ ბანკებში ლარში 9% და დოლარში 1%. სარგებელი სადეპოზიტო ანგარიშებს ერიცხება დღიურ ნაშთზე. სადეპოზიტო ხელშეკრულებების ვადა არ აღემატება 1 წელს.

20. კაპიტალი

საწესდებო კაპიტალი

საწესდებო კაპიტალის ოდენობა გაწერილია წესდების მიხედვით და შეადგენს 2,000 ლარს (ერთეულ ლარში).

დივიდენდები

დივიდენდების ოდენობის საკითხს და გაცემის წესს, ადგენს კომპანიის 100%-იანი წილის მფლობელი გია კავთელიშვილი.

საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში დივიდენდის გამოცხადება და გადახდა ხდებოდა პერიოდულად. წლის განმავლობაში გამოცხადებულმა და გაცემულმა თანხამ შეადგინა 1,347 ლარი. (2020: 1,869 ლარი).

21. მოკლევადიანი სესხები

მიღებული სესხები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

		31 აგვისტო 2021	31 აგვისტო 2020 (გადაანგარიშებული)	1 სექტემბერი 2019 (გადაანგარიშებული)
ფინანსური ინსტიტუტებიდან ნასესხები	GEL	6,474	8,221	9,575
სახსრები	USD	1,296	-	-
გადასახდელი პროცენტები	GEL	62	68	39
	USD	2	-	-
სულ		7,834	8,289	9,614

2021 წლის 31 აგვისტოს მდგომარეობით კომპანიას მიღებული აქვს სესხები ფინანსური ინსტიტუტებიდან ლარსა და დოლარში, საპროცენტო განაკვეთი დამოკიდებულია ბანკთაშორის რეფინანსირების განაკვეთზე. სესხის დაფარვის ვადაა 2022-2023 წლები.

ინფორმაცია მიღებული სესხების უზრუნველსაყოფად გამოყენებული აქტივების შესახებ იხილეთ მე-13 შენიშვნაში.

მიღებული სესხების რეკონსილაცია წლების მიხედვით შეგვიძლია წარმოვადგინოთ შემდეგნაირად:

შპს „საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2021 წლის 31 აგვისტოს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

21. მოკლევადიანი სესხები (გაგრძელება)

	2021	2020
საწყისი ნაშთი	8,289	9,614
სესხის აღება	2,357	9,911
სესხის დაფარვა	(2,811)	(11,274)
პროცენტის დარიცხვა	743	999
პროცენტის გადახდა	(748)	(970)
საკუროს სხვაობის ეფექტი	4	9
საბოლოო ნაშთი	7,834	8,289

22. საგადასახადო ვალდებულებები

2016 წლის 1 იანვარიდან, საგადასახადო კოდექსში შესული ცვლილების შესაბამისად ყველა საგადასახადო ვალდებულება ირიცხება ერთიან სახაზინო ანგარიშზე, კომპანიას საგადასახადო აქტივი და ვალდებულება წარმოდგენილი აქვს ნეტო თანხით.

2016 წლის ივნისში საქართველოს საგადასახადო კოდექსში ცვლილებები შევიდა მოგების გადასახადთან დაკავშირებით. ცვლილებები ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვრიდან და ვრცელდება საქართველოში მოქმედ ყველა კომპანიაზე, გარდა ბანკებისა, სადაზღვევო კომპანიებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა, რომლებისთვისაც შემოღებულია ძალაში შესვლის განსხვავებული თარიღი. ახალი ნორმატიული აქტის თანახმად, მოგების გადასახადით დაიბეგრება დივიდენდების სახით იმ აქციონერებზე განაწილებული მოგება, რომლებიც არიან ფიზიკური პირები ან არარეზიდენტები საქართველოში, და არა მოგებას, რომელიც მიღებული იქნა არსებული ნორმატიული აქტების შესაბამისად. დივიდენდების განაწილებაზე გადასახდელი გადასახადის ოდენობა დაანგარიშდება განაწილებული წმინდა თანხიდან 15/85 განაკვეთის გამოყენებით. კომპანიებს უფლება აქვთ ჩაითვალონ 2008-2016 წლებში მიღებული მოგებიდან განაწილებულ დივიდენდებთან დაკავშირებული მოგების გადასახადის ვალდებულება, არსებული ნორმატიული აქტების მიხედვით შესაბამისი პერიოდისთვის გადახდილი მოგების გადასახადის ოდენობით. საქართველოს რეზიდენტ კომპანიებს შორის დივიდენდების განაწილება არ დაიბეგრება მოგების გადასახადით.

23. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31 აგვისტო 2021	31 აგვისტო (გადაანგარიშებული) 2020	1 სექტემბერი 2019 (გადაანგარიშებული)
სავაჭრო ვალდებულებები	178	150	44
გადასახდელი ხელფასი	56	22	231
მიღებული ავანსები	30	-	14
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	163	186	18
სულ	427	358	307

24. პირობითი ვალდებულებები

სასამართლო დავები. დროდადრო, ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში, შეიძლება კომპანიის წინააღმდეგ პრეტენზიები იქნას წამოყენებული. საკუთარი შეფასების საფუძველზე, აგრეთვე შიდა და გარე პროფესიული კონსულტაციების საფუძველზე, მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ არანაირი არსებითი დანაკარგი არ იქნება გამოწვეული რაიმე სასამართლო დავის შედეგად. აქედან გამომდინარე, ფინანსურ ანგარიშგებაში არ გაკეთებულა არანაირი ანარიცხი.

გადასახადები. საქართველოს სამეწარმეო და საგადასახადო კანონმდებლობაში არსებობს ისეთი მუხლები, რომელთა ინტერპრეტაცია სხვადასხვაგვარადაა შესაძლებელი. ასევე არსებობს საგადასახადო ორგანოების მიერ

24. პირობითი ვალდებულებები (გაგრძელება)

სუბიექტური გადაწყვეტილებების მიღების პრაქტიკა. აქედან გამომდინარე, იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე კონკრეტული ქმედება, რომელიც ეფუძნება ხელმძღვანელობის მიერ ბიზნეს საქმიანობის თავისებურად განსჯას, არ იქნება მოწონებული საგადასახადო ორგანოების მიერ, კომპანიას შეიძლება დაერიცხოს დამატებითი გადასახადები, ჯარიმები და საურავები. მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ მათ გადაიხადეს საგადასახადო კანონით მოთხოვნილი გადასახადები და დამატებითი რეზერვების შექმნა არ არის საჭირო. საგადასახადო ორგანოებს კომპანიის შემოწმება შეუძლიათ ბოლო სამი წლის განმავლობაში.

25. ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან

კომპანიასა და დაკავშირებულ მხარეებს შორის არსებული ნაშთები და ოპერაციები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	ურთიერთობა	31 აგვისტო 2021	31 აგვისტო 2020	1 სექტემბერი 2019
გაცემული სესხები	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული	12,223	8,152	8,147
სრული შემოსავლების ანგარიშგება	ურთიერთობა	2021 წლის 31 აგვისტოს დასრულებული წლისათვის	2020 წლის 31 აგვისტოს დასრულებული წლისათვის	
ფინანსური შემოსავალი	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული	998	999	
ოპერაციები მენეჯმენტთან და დამფუძნებლებთან				
უმაღლესი მმართველობითი რგოლის ხელფასები		494	382	

26. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

2022 წლის თებერვლის ბოლოდან გეოპოლიტიკური ვითარება აღმოსავლეთ ევროპაში გამწვავდა უკრაინის წინააღმდეგ რუსეთის სამხედრო მოქმედებების დაწყებით. პოლიტიკური მოვლენები და სანქციები მუდმივად იცვლება და განსხვავდება მთელ მსოფლიოში. ამჟამად არ არსებობს მითითება, რომ მნიშვნელოვანი გავლენა ექნება კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე და ფულადი სახსრების მოძრაობაზე. მენეჯმენტი აგრძელებს სიტუაციის მონიტორინგს, რათა უზრუნველყოს ყველა დაინტერესებული მხარის ინტერესის უსაფრთხოება.

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ კომპანიის მიერ გამოცხადებული და გაცემული დივიდენდი შეადგენს 1,095 ლარს.

კომპანიამ საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ ფინანსური ინსტიტუტებიდან დამატებით აიღო სესხი 15,136 ლარის ოდენობით, ხოლო ამავე პერიოდში დაფარული აქვს 5,953 ლარის სესხი.

გარდა ზემოთ აღნიშნულისა კომპანიას განხორციელებული აქვს შპს ამერიქან ჰოსფიტალ ნეტვორქში 1,559 ლარის ინვესტიცია, ხოლო შპს საიალში კი - 9,976 ლარის ინვესტიცია.

**შპს „საქართველოს
ეროვნული უნივერსიტეტი სეუ“**

მმართველობის ანგარიშგება

2021 წლის 31 აგვისტოს დასრულებული წლისთვის

შპს „საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ“

მმართველობის ანგარიშგება

2021 წლის 31 აგვისტოს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

1. ინფორმაცია კომპანიის შესახებ

შპს საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი - სეუ (შემდგომში სეუ) არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, რომელიც დაარსებულია საქართველოში 2001 წლის 19 ნოემბერს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანიის რექტორია გია კავთელიშვილი.

კომპანიის საქმიანობის სახე და ძირითადი სამოქმედო ბაზრები: კომპანია ძირითადად ჩართულია საგანმანათლებლო საქმეში. კომპანიას აქვს, როგორც საბაკალავრო ასევე სამაგისტრო პროგრამები, უნივერსიტეტი თავის საგანმანათლებლო საქმიანობას წარმართავს ბიზნესის ადმინისტრირების, სოციალური მეცნიერებების, მედიცინის, სამართლისა და განათლების აკადემიური მიმართულებებით.

კომპანიის შემოსავლები ძირითადი მიმართულებების მიხედვით არის შემდეგი:

	2021 წლის 31 აგვისტოს დასრულებული წლისათვის	2020 წლის 31 აგვისტოს დასრულებული წლისათვის
შემოსავალი სწავლებიდან	20,885	17,165
სხვა შემოსავალი	211	174

არსებული პროდუქტები და მომსახურება

სეუ ახორციელებს 3 უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამას. საგანმანათლებლო პროგრამები ხორციელდება უმაღლესი განათლების ორ საფეხურზე - საბაკალავრო და სამაგისტრო.

საბაკალავრო პროგრამები

1. ბიზნესის მართვის ფაკულტეტი

სეუ-ს ბიზნესის მართვის სკოლის თითოეული პროგრამა შემუშავებულია თანამედროვე განათლების სტანდარტებისა და გამოწვევების შესაბამისად. ბიზნესის სკოლა აერთიანებს 5 ძირითადი სპეციალობის საბაკალავრო პროგრამას:

- ბიზნესის ადმინისტრირება
- ბიზნესის ადმინისტრირება (ინგლისურენოვანი)
- მენეჯმენტი
- ტურიზმი
- ფინანსები

თითოეული პროგრამა მიზნად ისახავს მოამზადოს სფეროსათვის შესაბამისი განათლების მქონე კონკურენტუნარიანი პროფესიონალი, რომელსაც მმართველობითი სფეროს უკანასკნელ მიღწევებზე დაფუძნებულ თეორიულ ცოდნასთან ერთად გამომუშავებული ექნება თანამედროვე შრომის ბაზრის გამოწვევებისთვის აქტუალური უნარ-ჩვევები ბაკალავრისათვის დადგენილი კომპეტენციის ფარგლებში.

1. სამართლის ფაკულტეტი

სეუ-ს სამართლის სკოლა ახორციელებს სამართლის საბაკალავრო პროგრამას, რომელიც მიზნად ისახავს კვალიფიციური და სამართლებრივი ღირებულების მქონე დარგის სპეციალისტის მომზადებას.

- სამართალი

პროგრამა მიზნად ისახავს სფეროსათვის საჭირო ფუნდამენტური ცოდნის მქონე კომპეტენტუნარიანი პროფესიონალის მომზადებას. პროგრამა აქტუალურია, სპეციალურად შემუშავებული ახალი სასწავლო დისციპლინითა და პრობლემაზე დაფუძნებული სწავლებით.

2. სოციალური მეცნიერებების ფაკულტეტი

სოციალური მეცნიერებების სკოლის პროგრამები შექმნილია შრომის ბაზრის თანამედროვე და აქტუალური გამოწვევების გათვალისწინებით და უზრუნველყოფს სტუდენტებისთვის აკადემიური ხარისხის მინიჭებას შემდეგი ძირითადი სპეციალობებით:

1. ინფორმაცია კომპანიის შესახებ (გაგრძელება)

- ჟურნალისტიკა
- საერთაშორისო ურთიერთობები
- ფსიქოლოგია

თითოეული პროგრამა ორიენტირებულია სტუდენტმა მიიღოს ძირითადი სპეციალობის საფუძვლიანი ცოდნა. ასევე, თავისი ინდივიდუალური ინტერესების შესაბამისად შეისწავლოს მისი პროფესიისთვის საინტერესო ქვემომართულება პროგრამების არჩევით ბლოკებში.

სამაგისტრო პროგრამები

1. განათლების ადმინისტრირების ფაკულტეტი

განათლების ადმინისტრირების სკოლის სამაგისტრო პროგრამა ზოგადი და უმაღლესი განათლების ადმინისტრირებაში უზრუნველყოფს განათლების სფეროს მომავალი ლიდერის, ადმინისტრატორისა და მკვლევარის მომზადებას, რომელსაც ფუნდამენტურად გააზრებული აქვს განათლების სისტემაში მიმდინარე ცვლილებები და არსებული გამოწვევები საგანმანათლებლო სისტემების კუთხით და ფლობს აქტუალურ ცოდნას განათლების სისტემის მდგრადი განვითარებისთვის.

- განათლების ადმინისტრირება

სტუდენტს შესაძლებლობა აქვს აარჩიოს უმაღლესი ან ზოგადი განათლების ადმინისტრირების მიმართულება. პროგრამა სავალდებულო სასწავლო კურსებთან და კვლევით კომპონენტთან ერთად ითვალისწინებს საკონსულტაციო პროექტის მომზადებას განათლების სფეროს აქტუალურ პრობლემებზე.

2. სოციალური მეცნიერებების ფაკულტეტი

სოციალურ მეცნიერებათა სკოლა ახორციელებს სოციალური ფსიქოლოგიის სამაგისტრო პროგრამას, რომლის ფარგლებში აქტუალური სამეცნიერო თეორიების შესწავლის პარალელურად უზრუნველყოფილია სტუდენტების პრაქტიკა სოციალურ ფსიქოლოგიური დიაგნოსტიკებისა და ტრენინგის დაგეგმვის ნაწილში, ასევე გამოყენებითი ხასიათის კვლევითი ნაშრომის მომზადება.

- სოციალური ფსიქოლოგია

3. ბიზნესის მართვის სკოლა

ბიზნესის მართვის სკოლა უზრუნველყოფს მაგისტრანტების მომზადებას ფინანსური სექტორისა და ადამიანური რესურსების მართვის სფეროში წამყვან პოზიციებზე მუშაობისთვის, მათთვის სტრატეგიული, ანალიტიკური და საკონსულტაციო უნარების განვითარებას, ცვლილებების მართვასა და გუნდის ხელმძღვანელობის შესაძლებლობის ჩამოყალიბებას.

- საბანკო საქმე
- ადამიანური რესურსების მართვა

ბიზნესის მართვის სკოლის სამაგისტრო პროგრამები უზრუნველყოფენ სტუდენტებისთვის, როგორც აქტუალური თეორიული ბაზისის, ასევე ეფექტური კვლევითი და პრაქტიკული უნარების ფორმირებას.

4. სამართლის ფაკულტეტი

სეუ-ს სამართლის სკოლა ახორციელებს სამართლის სამაგისტრო პროგრამას, რომელიც მიზნად ისახავს კვალიფიციური და სამართლებრივი ღირებულებების მქონე დარგის სპეციალისტის მომზადებას.

- სამართლის პროგრამა

პროგრამის ფარგლებში შეისწავლება სისხლის, კერძო, საერთაშორისო და საჯარო სამართლის პრობლემატური საკითხები, გათვალისწინებულია სამოქალაქო განათლების პრაქტიკული კურსის (street law) სწავლება, იურიდიული კლინიკა და ინტერდისციპლინარული კვლევითი ნაშრომის მომზადება.

შპს „საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ“

მმართველობის ანგარიშგება

2021 წლის 31 აგვისტოს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

1. ინფორმაცია კომპანიის შესახებ (გაგრძელება)

ინგლისურენოვანი მედიცინა

პროგრამის მიზანი

სეუს ინგლისურენოვანი მედიცინის საბაკალავრო პროგრამის მიზანია საერთაშორისო მასშტაბით კონკურენტუნარიანი და სათანადო კომპეტენციის მქონე კვალიფიციური დიპლომირებული მედიკოსის მომზადება. პროგრამა უზრუნველყოფს ისეთი აზროვნების, ცოდნისა და პრაქტიკული/კლინიკური უნარების გამომუშავებას, რომლებიც აუცილებელია პროფესიული საქმიანობის წარმატებით წარმართვისა და შემდგომი სწავლის გაგრძელებისათვის.

შპს „საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი - სეუ“ სტუდენტებს სთავაზობს მრავალფეროვან სტუდენტურ აქტივობებს:

SEU სპორტი

- რაგბი
- ფეხბურთი

ხელოვნება და კულტურა

- ანსამბლი სეუ
- დასი
- მხიარულთა და საზრიანთა კლუბი
- SEU Art Project

სტუდენტური კლუბები

- დიპლომატთა კლუბი
- იურისტთა კლუბი
- კურსდამთავრებულთა კლუბი
- სტუდენტური თვითმმართველობა

კარიერა

- როგორ ვიპოვოთ სასურველი სამუშაო
- რჩევა CV - რეზიუმეს შესადგენად
- გზამკვლევი საუკეთესო სამოტივაციო წერილისთვის
- როგორ მოვემზადოთ გასაუბრებისთვის

კომპანიის სტრუქტურა.

შპს „საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ“-ს დირექტორი კომპანიის დაარსების დღიდან ანგარიშგების მომზადებამდე პერიოდში იყო გია კავთელიშვილი. კომპანიის დირექტორის დანიშვნის წესი განისაზღვრება წესდების შესაბამისად.

კომპანია არ ფლობს ინვესტიციებს სხვა კომპანიებში.

2. ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები

ფინანსური მაჩვენებლები

2021 წლის საოპერაციო შემოსავალმა შეადგინა 20,885 ლარი, რაც 22%-ით მეტია 2020 წლის ანალოგიურ მონაცემთან შედარებით. არსებულ შემცირებაზე ძირითადად გავლენა მოახდინა საანგარიშგებო პერიოდში სტუდენტთა რაოდენობის ზრდამ.

ძირითადი კოეფიციენტები:

	1 სექტემბერი 2020 - 31 აგვისტო 2021	1 სექტემბერი 2019 - 31 აგვისტო 2020
სულ შემოსავალი	20,885	17,165
სულ აქტივები	62,685	54,275
დასაქმებულთა საშუალო რიცხვი	417	240

შპს „საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ“

მმართველობის ანგარიშგება

2021 წლის 31 აგვისტოს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

2. ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები (გაგრძელება)

	1 სექტემბერი 2020 - 31 აგვისტო 2021	1 სექტემბერი 2019 - 31 აგვისტო 2020
მიმდინარე ლიკვიდურობის კოეფიციენტი	1.38	0.86
EBITDA %	57%	56%
უკუგება კაპიტალზე (ROE)	0.18	0.16
უკუგება აქტივებზე (ROA)	0.15	0.13
წმინდა მოგების მარჟა	44%	39%

არაფინანსური მაჩვენებლები

თანამშრომლები: შპს „საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი - სეუ-ს“ პერსონალის რაოდენობა წლის განმავლობაში მერყეობდა 501-დან 671-მდე. კომპანიას აქვს თავისი დასაქმების პოლიტიკა, რომ უზრუნველყოფილი იყოს შესაბამისი კვალიფიკაციის, გამოცდილებისა და უნარების მქონე კანდიდატების მოძიება და შეფასება.

ძირითადი მომწოდებლები და კლიენტები

2020-2021 სასწავლო წლის მონაცემებით უნივერსიტეტში 7,011 (2019-2020: 6,439) აქტიური სტუდენტია. მათგან 6,164 (2019-2020: 5,840) სტუდენტი საბაკალავრო საფეხურზე, 481 (2019-2020: 446) სამაგისტრო საფეხურზე, ხოლო ერთსაფეხურიანზე 366 (2019-2020: 153).

არაფინანსური მაჩვენებლები	1 სექტემბერი 2020- 31 აგვისტო 2021	1 სექტემბერი 2019- 31 აგვისტო 2020
სტუდენტთა კვოტა	9,100	9,100
აქტიურ სტუდენტთა რაოდენობა	6,631	6,439
მოქმედი აკადემიური პროგრამების რაოდენობა	16	16
პარტნიორი საერთაშორისო უსდ-ს რაოდენობა	38	35

ურთიერთობა სახელმწიფო უწყებებთან: კომპანია, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, დაარსებულია და მოქმედებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, გარდა ამისა, კომპანიის მთავარ მარეგულირებელ ორგანოს წარმოადგენს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო, რომელიც განსაზღვრავს საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის განხორციელების პროცესს, უმაღლესი განათლების, მართვისა და დაფინანსების პრინციპებსა და წესს, ადგენს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების დაფუძნების, საქმიანობის, რეორგანიზაციისა და ლიკვიდაციის წესს, ასევე ავტორიზაციისა და აკრედიტაციის პრინციპებს.

3. სუბიექტის განვითარების გეგმები

კომპანიის მთავარ მიზანს წარმოადგენს ბაზარზე საკუთარი პოზიციის გამყარება, არსებული მომხმარებლების კმაყოფილებაზე ზრუნვა და კომპანიის გრძელვადიანი სტრატეგიის ჩამოყალიბებაში ტექნოლოგიური სიახლეებისა და ბაზრის არსებული კონიუქტურის გათვალისწინება.

კომპანიის სამომავლო გეგმებში ძირითადი მიმართულებებია:

- ახალი მომხმარებლების მოზიდვა;
- ახალი ტექნოლოგიების დანერგვა ;
- საუნივერსიტეტო განათლების განვითარება;
- ბრენდის იმიჯის გაუმჯობესება;
- კვლევების გაფართოება;
- ინოვაციური სასწავლო შეთავაზებების ზრდა და გაფართოება.

შპს „საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ“

მმართველობის ანგარიშგება

2021 წლის 31 აგვისტოს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

4. კვლევებისა და განვითარების სფეროში ჩატარებული ღონისძიებების მიმოხილვა

კომპანიას არ ჩაუტარებია კვლევები წლის განმავლობაში.

5. ინფორმაცია საკუთარი აქციების შეძენის შესახებ

2021 წელს არ მომხდარა კომპანიის მიერ საკუთარი აქციების შეძენა.

6. წლიურ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხების შესახებ დამატებითი განმარტებები

წლიდან წლამდე დამდგარი მნიშვნელოვანი ცვლილებები:

ფინანსური ანგარიშგების არე	31 აგვისტო 2021	31 აგვისტო 2020	შენიშვნა
შემოსავალი სასწავლო პროგრამებიდან	20,885	17,165	შენიშვნა #1
ძირითადი საშუალებები	40,139	38,671	შენიშვნა #2
გაცემული სესხები	13,142	7,821	შენიშვნა #3

შენიშვნა #1

შემოსავლების ზრდა განპირობებულია გაზრდილი სტუდენტთა რაოდენობით.

შენიშვნა #2

ძირითადი საშუალებების ზრდა განპირობებულია კომპანიის საკუთრებაში არსებული სასწავლო შენობის მშენებლობასთან და მიწის შეძენასთან.

შენიშვნა #3

გაცემული სესხების ზრდა დაკავშირებულია დაკავშირებულ მხარეებზე გაცემულ სესხებთან.

7. ძირითადი რისკები და გაურკვევლობები

საქართველოსთან დაკავშირებული მაკროეკონომიკური და პოლიტიკური რისკები:

კომპანია ძირითადად საქმიანობს საქართველოში და მისი ბრუნვა მთლიანად მოდის საქართველოზე. შესაბამისად, კომპანიის საქმიანობის შედეგებზე, ზრდასა და განვითარებაზე საგრძნობლად მოქმედებს და მომავალშიც იმოქმედებს ქვეყნის ბიზნეს გარემო და პოლიტიკური ფაქტორები. ქვემოთ ცხრილში მოცემულია ქვეყნის ძირითადი მაკროეკონომიკური პარამეტრები:

	2021	2020
მოსახლეობის რიცხოვნობა 31 დეკემბრისთვის	3,689	3,729
მშპ მიმდინარე ფასებში, მილიარდი აშშ დოლარი	18.7	15.9
მშპ ერთ სულზე (მიმდინარე ფასებში), აშშ დოლარი	5,015	4,275
მშპ-ის რეალური ზრდა, %	10.4%	(6.2)%
საშუალო წლიური ინფლაცია	13.9%	5.2%
პირდაპირი უცხოური ინვესტიციები FDI (მილიონი აშშ დოლარი)	1,152.8	616.9
უმუშევრობის დონე	20.6%	18.5%

საკრედიტო რისკი და მისი მართვის მექანიზმები

კომპანიას გააჩნია საკრედიტო რისკი, რომელიც წარმოადგენს რისკს, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ერთ-ერთი მხარე გამოიწვევს ფინანსურ ზარალს მეორე მხარისათვის თავისი მოვალეობის შეუსრულებლობით. საკრედიტო რისკი წარმოიქმნება კომპანიის მიერ საქონლის/მომსახურების კრედიტით გაყიდვით და პარტნიორებთან სხვა ოპერაციებით, რაც წარმოქმნის ფინანსურ აქტივებს. ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება წარმოადგენს მაქსიმალურ საკრედიტო რისკს.

7. ძირითადი რისკები და გაურკვევლობები (გაგრძელება)

საკრედიტო რისკების კონცენტრაცია. კომპანიის საკრედიტო რისკები კონცენტრირებულია სტუდენტთა რაოდენობაზე, ბიზნესის რენტაბელობა, რა თქმა უნდა მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული სტაბილურ სავალუტო კურსზე და ეკონომიკურ გარემოზე. შპს „საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი - სეუ“-თვის მთავარი რისკი არის ქვეყნის ეკონომიკის მერყეობა.

საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება შემცირდება საბაზრო ფაქტორების ცვლილების შედეგად. საბაზრო რისკი შეიძლება წარმოიშვას კომპანიის მიერ პროცენტის ან უცხოურ ვალუტაში არსებული ფინანსური ინსტრუმენტების ფლობის შედეგად არსებობს რისკი, რომ ფინანსური ინსტრუმენტის რეალური ღირებულება ან მომავალი ფინანსური ნაკადები იმერყევებს საპროცენტო განაკვეთის ცვლილების გამო (საპროცენტო რისკი) და უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვლილების გამო (სავალუტო რისკი). ხელმძღვანელობის მიერ ფინანსური რისკის მართვის მიზანია კომპანიის ყოველდღიური ოპერაციების შესრულების უზრუნველყოფა, ოპერაციებიდან საკმარისი ფულისა და ფულადი ექვივალენტების მიღება, რომ დააფინანსოს საოპერაციო და მიმდინარე კაპიტალური დანახარჯები და სასესხო ვალდებულებები მესამე მხარეების მიმართ.

სავალუტო რისკი. სავალუტო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება იმერყევებს უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვალებადობის გამო. კომპანიას წარმოეშება რისკები გაცვლითი კურსის ცვლილებების გამო, რომელთა ეფექტი მოცემულია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებასა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებაში.

შემოსავლები სწავლებიდან ძირითადად გენერირდება ეროვნულ ვალუტაში, შესაბამისად უნივერსიტეტის შემოსავლებთან დაკავშირებული სავალუტო რისკი დაბალია.

კომპანიის სავალუტო რისკი კონცენტრირებულია როგორც აშშ დოლარში, ასევე ევროში, რადგან უნივერსიტეტი განაგრძობს მეორე კამპუსის მშენებლობას, აქტივების დიდი ნაწილის შესყიდვა ხორციელდება იმპორტით.

საპროცენტო განაკვეთის რისკი. საპროცენტო განაკვეთის რისკი წარმოიშობა საბაზრო საპროცენტო განაკვეთების პოტენციური ცვლილების გამო, რომელმაც შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს კომპანიის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალურ ღირებულებაზე. ადგილობრივი ბანკიდან აღებული სესხი პირდაპირ არის დამოკიდებული ბანკთაშორის რეფინანსირების განაკვეთზე და შესაბამისად კომპანიას წარმოეშება საპროცენტო განაკვეთის რისკი. 2021 წლის 31 აგვისტოს არსებული სესხის ნაშთის გათვალისწინებით საპროცენტო განაკვეთის ცვლილების რისკი არ წარმოადგენს კომპანიისთვის მნიშვნელოვნად რისკ ფაქტორს.

მმართველობის ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2022 წლის 15 აგვისტოს:

გია კავთელიშვილი

რექტორი

ლევან კალანდარიშვილი

ფინანსური დეპარტამენტის უფროსი

შპს „საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ“

მმართველობის ანგარიშგება

2021 წლის 31 აგვისტოს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

7. ძირითადი რისკები და გაურკვევლობები (გაგრძელება)

საკრედიტო რისკების კონცენტრაცია. კომპანიის საკრედიტო რისკები კონცენტრირებულია სტუდენტთა რაოდენობაზე, ბიზნესის რენტაბელობა, რა თქმა უნდა მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული სტაბილურ სავალუტო კურსზე და ეკონომიკურ გარემოზე. შპს „საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი - სეუ“-თვის მთავარი რისკი არის ქვეყნის ეკონომიკის მერყეობა.

საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება შემცირდება საბაზრო ფაქტორების ცვლილების შედეგად. საბაზრო რისკი შეიძლება წარმოიშვას კომპანიის მიერ პროცენტიანი ან უცხოურ ვალუტაში არსებული ფინანსური ინსტრუმენტების ფლობის შედეგად არსებობს რისკი, რომ ფინანსური ინსტრუმენტის რეალური ღირებულება ან მომავალი ფინანსური ნაკადები იმერყევებს საპროცენტო განაკვეთის ცვლილების გამო (საპროცენტო რისკი) და უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვლილების გამო (სავალუტო რისკი). ხელმძღვანელობის მიერ ფინანსური რისკის მართვის მიზანია კომპანიის ყოველდღიური ოპერაციების შესრულების უზრუნველყოფა, ოპერაციებიდან საკმარისი ფულისა და ფულადი ექვივალენტების მიღება, რომ დააფინანსოს საოპერაციო და მიმდინარე კაპიტალური დანახარჯები და სასესხო ვალდებულებები მესამე მხარეების მიმართ.

სავალუტო რისკი. სავალუტო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება იმერყევებს უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვლილებების გამო. კომპანიას წარმოეშება რისკები გაცვლითი კურსის ცვლილებების გამო, რომელთა ეფექტი მოცემულია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებასა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებაში.


შემოსავლები სწავლებიდან ძირითადად გენერირდება ეროვნულ ვალუტაში, შესაბამისად უნივერსიტეტის შემოსავლებთან დაკავშირებული სავალუტო რისკი დაბალია.

კომპანიის სავალუტო რისკი კონცენტრირებულია როგორც აშშ დოლარში, ასევე ევროში, რადგან უნივერსიტეტი განაგრძობს მეორე კამპუსის მშენებლობას, აქტივების დიდი ნაწილის შესყიდვა ხორციელდება იმპორტით.

საპროცენტო განაკვეთის რისკი. საპროცენტო განაკვეთის რისკი წარმოიშობა საბაზრო საპროცენტო განაკვეთების პოტენციური ცვლილების გამო, რომელმაც შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს კომპანიის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალურ ღირებულებაზე. ადგილობრივი ბანკიდან აღებული სესხი პირდაპირ არის დამოკიდებული ბანკთაშორის რეფინანსირების განაკვეთზე და შესაბამისად კომპანიას წარმოეშება საპროცენტო განაკვეთის რისკი. 2021 წლის 31 აგვისტოს არსებული სესხის ნაშთის გათვალისწინებით საპროცენტო განაკვეთის ცვლილების რისკი არ წარმოადგენს კომპანიისთვის მნიშვნელოვან რისკ ფაქტორს.

მმართველობის ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2022 წლის 15 აგვისტოს:


გია კავთაძე
რექტორი


ლევან კალანდარიშვილი
ფინანსური დეპარტამენტის უფროსი